გიორგი ნიკოლაძე

პირველი ქართული ასოლა მყინვარწვერზე

ზაზა აბზიანიძის
რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1983

7А6.3(с41)
75.82 (2г)
796.5(и7.922)
Б 636

გიორგი ნიკოლაძის (1888 — 1931) მთამსვლელური დღიური საბჭოთა ალპინიზმის დაბადების მომასწავებელი ერთ-ერთი პირველი დოკუმენტია. გიორგი ნიკოლაძე — გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი და მეტალურგი, სორბონის უნივერსიტეტის დოქტორი, ქართული სპორტული მოძრაობის ფუძემდებელი — სპორტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საზოგადოების განვითარებაში. ეს კარგად ჩანს მისი ჩანაწერებიდან, „პირველი ქართული ასვლა მყინვარწვერზე", რომელნიც, ამასთან ერთად, გვაცნობენ მათი ავტორის მრავალფეროვანი ნიჭის კიდევ ერთ მხარეს — საინტერესოდ და ხატოვანად თხრობის უნარს.

Н $\frac{4202000000 - 128}{М601\ (08) - 83}$ 232—83

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1983

გიორგი ნიკოლაძის მთამსვლელური დღიური

თვითმხილველის ჩანაწერებს დრო-ჟამი ზოგჯერ განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებს. სწორედ ამგვარი ელფერი მიანიჭა განვლილმა ნახევარმა საუკუნემ გიორგი ნიკოლაძის დღიურს.

გიორგი ნიკოლაძეს (1888 — 1931) — გამოჩენილ ქართველ მათემატიკოსსა და მეტალურგს, სორბონის უნივერსიტეტის დოქტორს, ქართული სპორტული მოძრაობის ფუძემდებელს — მკითხველთა უმცროსი თაობა მხოლოდ მისდამი მიძღვნილი წიგნებითა და სტატიებით იცნობს, უფროს თაობაში კი შეხვდებით იმათ, ვინც ისმენდა მის ლექციებს, ვარჯიშობდა მის მიერ დაარსებულ „შევარდენში“ ან მონაწილეობდა მის მთამსვლელურ ექსპედიციებში. სწორედ ამ უკანასკნელთ თუ აქვთ შემონახული დროისაგან გაყვითლებული ფურცლები საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მოამბისა, სადაც დაისტამბა გიორგი ნიკოლაძის მიერ ამ საზოგადოების პირველ სხდომაზე, 1924 წლის 24 მარტს წაკითხული მოხსენების სტენოგრამა. ეს მოხსენება ეძღვნებოდა ქართველ მთამსვლელთა პირველ ასვლას მყინვარწვერზე.

ვიდრე ამ ასვლაზე ვიტყოდე რამდენიმე სიტ-

ყვას, მკითხველის ყურადღებას თვით მომხსენებლის პიროვნებაზე შევაჩერებ.

თითოეულ ახალთაობას ჰყავს თავისი კერპი, რომელშიც ამ თაობის სულიერი, ზნეობრივი, ესთეტიკური იდეალებია პერსონიფიცირებული. იმ თაობისათვის, რომელიც ცხოვრების ასპარეზზე 20-იან წლებში გამოვიდა, ამგვარ კერპს გიორგი ნიკოლაძე წარმოადგენდა. მაგრამ, თუ საკმაოდ ხშირად, ასეთი კერპები თავის მოძხიბლაობას კარგავენ და ასაკში შესული გუშინდელი ჭაბუკები თავისოდინდელ აღტაცების საგანს შარავანდედშემოძარცულს ხედავენ — ცხოვრებით დამძიმებულს, ჯანგატეხილს, სულით დაკხინებულს, — გიორგი ნიკოლაძის სახელმა ეს შარავანდედი დღემდე შეინარჩუნა.

ბუნებრივია ისიც, ამ ფენომენის ამოცნობა რომ გვწადდეს. მაინც, რატომ შემორჩა ეს შარავანდედი გიორგი ნიკოლაძის სახელს? პირველ ყოვლისა, ალბათ, იმიტომ, რომ გიორგი ნიკოლაძის ესოდენ ჰარმონიული პიროვნება, აღორძინების იდეალურ ადამიანს რომ წააგავდა, სულიერების ღრმა ფესვებით იკვებებოდა, შინაგანად მომავლისაკენ იყო ორიენტირებული, ხოლო ყოველივე ეს ერთ, საერთო საზრისს აძლევდა მთელ მის ცხოვრებას, ერთ ჩარჩოში აქცევდა მის ურთიერთგანსხვავებულ ინტერესებსა და გატაცებებს. არ შეცდებით, თუ ამ ჩარჩოში თქვენ საქართველოს კონტურებს დაინახავთ...

გიორგი ნიკოლაძის უნივერსალიზმი უთუოდ

შთამომავლობითი იყო. ჩვენს მკითხველს კარგად მოეხსენება გიორგი ნიკოლაძის მამის, დიდი ქართველი „სამოციანელის“ — ნიკო ნიკოლაძის ლიტერატურულ-პუბლიცისტური, სოციალ-პოლიტიკური, ეკონომიკური ინტერესების სფერო და მისი ღირსშესანიშნავი მოღვაწეობა ყველა აქ დარგში. ისიც ცხადია, რომ ნიკო ნიკოლაძის შვილებს სპორტისადმი განსაკუთრებული ინტერესი, საზოგადოდ ადამიანის სულიერი და ფიზიკური სრულყოფისაკენ სწრაფვა, სწორედ ოჯახიდან მოსდგამდათ.

თამარ ნიკოლაძე (1892 — 1939) — ბევრ სხვა გამორჩეულ თვისებებთან ერთად, თანამედროვეთა მეხსიერებაში შესანიშნავ ტახმოვარჯიშედაც დარჩა. (ოციან წლებში თამარ ნიკოლაძემ პირველობა დაისაკუთრა ლონდონში გამართულ ტანმოვარჯიშე ქალთა შეჯიბრებაში). იგი გვერდში ედგა ძმას „შევარდენის“ ორგანიზაციულ საქმიანობაშიც, ტანვარჯიშის ტერმინოლოგიის დადგენასა და მრავალ იმ კეთილშობილურ წამოწყებაშიც, რომელთაც გიორგი ნიკოლაძე თაოსნობდა.

თვით გიორგი ნიკოლაძე ტანვარჯიშით სერიოზულ დაინტერესებას უმადლოდა თბილისის პირველი გიმნაზიის პედაგოგს, ეროვნებით ჩეხს, ანტონ ლუკეშს, რომელმაც, საზოგადოდ, დიდად შეუწყო ხელი ტანვარჯიშის დანერგვასა და პოპულარიზაციას საქართველოში.

1908 წელს გიორგი ნიკოლაძე მონაწილეობს სოფიის სატანვარჯიშო შეხვედრაში, ხოლო 1912

წელს იგი პრაღაში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში იმარჯვებს ექვსჭიდის სახეობაში (მაშინდელ ექვსჭიდში შედიოდა ტანვარჯიში, სირბილი, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა, შუბისა და ბადროს ტყორცნა). სხვათა შორის, ამ შეჯიბრების დროს გადაღებულმა სურათმა, რომელზეც გიორგი ნიკოლაძეა აღბეჭდილი ბადროს ტყორცნის დროს, მსოფლიო შემოიარა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, რადგან საფოსტო ბარათის სახით გამრავლდა.

1918 წელს გიორგი ნიკოლაძის თაოსნობით არსდება სპორტული საზოგადოება „შევარდენი", რომელიც თავდაპირველად ძირითადად ტანვარჯიშის მოყვარულთ აერთიანებდა (ეწყობოდა საჩვენებელი სატანვარჯიშო გამოსვლები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, განსაკუთრებული წარმატება კი წილად ხვდა 1920 წელს დღევანდელი ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში გამართულ სატანვარჯიშო სალამოს), მაგრამ გიორგი ნიკოლაძის ირგვლივ შემოკრებილ ახალგაზრდობას სულ უფრო და უფრო იტაცებდა აზრი — ფეხით შემოევლოთ საქართველო და კავკასიონის უმაღლესი მწვერვალები დაეპყროთ. ცნობისწადილთან და გამარჯვების სურვილთან ერთად ამ ახალთაობას ეროვნული იმპულსიც ამოძრავებდა, რაც კარგად ჩანდა მათი საზოგადოების დევიზშიც „გუშაგობ ერს? — მარად!"

გიორგი ნიკოლაძე სპორტს საზოგადოებრივი მოძრაობის მნიშვნელობას აწიფებდა და მისთვის

მყინვარწვერის ექსპედიცია — თვრამეტი მთამსვლელის, მათ შორის ხუთი ქალის მწვერვალზე ასვლა, მხოლოდ სპორტულ რეკორდს როდი წარმოადგენდა. გიორგი ნიკოლაძის ჩანაწერების კითხვისას ჩვენ ადვილად წარმოვისახავთ მისი ექსპედიციის სულისკვეთებას — რაინდულს, ეროვნული სიამაყითა და გზის გამკვლევთა ღირსებით გამსჭვალულს. ამავე დროს, ექსპედიციის მონაწილეთა სიის უბრალო გადაკითხვაც კი კმარა, რომ დარწმუნდეთ, რაოდენ სამაგალითო იხტერნაციონალური სული აერთიანებდა ბირველ ქართველ მთამსვლელებს მათ სხვადასხვაეროვან კოლეგებთან.

გიორგი ნიკოლაძის ჩანაწერები იმაზეც მოგვითხრობენ, თუ როგორ დამეგობრდნენ ახალგაზრდა თბილისელი მთამსვლელები და ხევის მკვიდრნი, როგორ სიმბოლურად გამოიხატა მოხევე-გამცილებელთა თანადგომაში ქართული მთამსვლელური ტრადიციისა და ალპინიზმის ახალი ეტაპის უწყვეტი კავშირი.

მყინვარწვერზე ასვლის ჩანაფიქრი თვით გიორგი ნიკოლაძეს ეკუთვნოდა. ექსპედიციის მონაწილე, გადამდგარი ადმირალი მიხეილ ჭინჭარაძე იგონებს: „გიორგი ნიკოლაძე ხშირად გვკრიბავდა უნივერსიტეტის სტუდენტებს, „შევარდენის“ წევრებს, სხვა ახალგაზრდობას და ლაშქრობებში დავყავდით. ამგვარ მოგზაურობებს „გაფრენებს“ ვეძახდით. ერთ-ერთი „გაფრენის“ შემ-

დეგ გიორგიმ შემოგვაპარა, მოდით, მყინვარწვერზე ვცადოთ ასვლაო...“

დღეს, როდესაც დაპყრობილია ჯომოლუნგმა თუ ანაპურნა, მკითხველს, ალბათ, გაუკვირდება, რამდენი მიზანსწრაფვა, სიმხნევე, თანადგომა უნდა გამოეჩინათ გიორგი ნიკოლაძესა და მის ამხანაგებს იმისათვის, რომ დევდორაკის მყინვარის სახიფათო გზით, 20-გრადუსიან ყინვაში, თვითხაკეთი საგურვლით ასულიყვნენ მყინვარწვერზე 1923 წლის 28 აგვისტოს.

სიმბოლიური იყო ისიც, რომ მწვერვალიდან დაშვებისას გიორგი ნიკოლაძის ჯგუფი პროფესორ ალექსანდრე დიდებულიძის ექსპედიციას შეხვდა, რომელიც მყინვარწვერისაკენ უკვე სამეცნიერო მიზნებით მიეშურებოდა. სხვათა შორის სწორედ ამ ორი ექსპედიციის მონაწილეთა თანხმობით შეიქმნა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება, რომლის პირველ სხდომაზე, როგორც უკვე მოგახსენეთ, გიორგი ნიკოლაძემ წაიკითხა მოხსენება მყინვარწვერზე ასვლის შესახებ (აქვე უნდა ითქვას, რომ გიორგი ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა ახლად შექმნილი საზოგადოების მთასვლა-მგზავროსნობის განყოფილებას).

გიორგი ნიკოლაძის ექსპედიციის მონაწილენი — ასმათ ნიკოლაიშვილი, ელენე ლორთქიფანიძე, მარიამ ტყავაძე იგონებენ, როგორი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია ამ მოხსენებამ და, საზოგადოდ, მათი ექსპედიციის წარმატებამ.

შემდგომში, 1926 წელს, ამ მოხსენებით გიორგი ნიკოლაძე წარსდგა ლონდონში სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების წინაშე. აღსანიშნავია, რომ გიორგი ნიკოლაძის მოხსენების მოსასმენად საზოგადოების სხდომაზე ლონდონში საგანგებოდ ჩამოვიდა ევროპული ალპინიზმის პატრიარქი, იმხანად ოთხმოცდაათ წელს მიტანებული სერ დუგლას ფრეშფილდი, რომელიც თავის დროზე, 1867-68 წწ.-ში ავიდა ყაზბეგზე, იალბუზსა და თეთნულდზე.

1925 წელს გიორგი ნიკოლაძემ 19-კაციანი ჯგუფი (მათ შორის კვლავ ხუთი ქალი) აძჯერად იალბუზზე აიყვანა. აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფს ახლდნენ გამყოლები იაგორა კაზალიკაშვილი და გახა წიკლაური, რომელთაც უკვე საბოლოოდ დაუკავშირეს თავიანთი ბედი ქართულ ალპინიზმს.

1929 წელს გიორგი ნიკოლაძის თაოსნობით იქმნება კავკასიის უღელტეხილთა შემსწავლელი კომპლექსური ექსპედიცია სამი სექციის შემადგენლობით (ერთ სექციას თვითონ გიორგი ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა, დანარჩენ ორს — მისი მეგობრები და მოსწავლეები — შოთა და დევი მიქელაძეები). გიორგი ნიკოლაძის სექციის გეგმით განზრახული იყო თეთნულდზე ასვლა და, მართლაც, 1929 წლის აგვისტოში გიორგი ნიკოლაძის ექსპედიციამ თეთნულდისაკენ აიღო გეზი. მოიერიშე ჯგუფი სამი კაცისაგან შედგებოდა, ესენი იყვნენ: გიორგი ნიკოლაძე, სიმონ ჯაფარიძე და პიმენ დვალი.

თეთნულდზე ასვლის დღეს, 27 აგვისტოს გიორგი ნიკოლაძე თავზარდამცემი ტრაგედიის მოწმე გახდა — თვალის დახამხამებაში მისი ორი თანამგზავრი თეთნულდის ყინულს მოსწყდა და უფსკრულში გადაიჩეხა. „შეწყდა ხმაური, — წერდა გიორგი ნიკოლაძე თავის დღიურში, —დადუმდა ყველაფერი და მხოლოდ მე დავრჩი ამ ყინულისა და სიკვდილის სამყაროში... რაც ამას მოჰყვა, თუ როგორ დავბრუნდი ღაძის გათევის ადგილამდე — მახსოვს მხოლოდ ოდხავ, ნაწყვეტებად, თითქოს სიზმარში მოხდაო“.

გიორგი ნიკოლაძის მთამსვლელური დღიურები მისი მრავალფეროვანი ნიჭის კიდევ ერთ მხარეს ავლენენ — საინტერესოდ და ხატოვნად თხრობის შესანიშნავ უნარს, თავისებურ სტილსა და ლექსიკას. აქვე უნდა შევნიშნო, რომ გიორგი ნიკოლაძის ტექსტში მოხმობილი, მის მიერვე შემუშავებული ტერმინებიდან არაერთი — პირველ ყოვლისა თვით სიტყვა „მთამსვლელობა“ (ნიკოლაძისეულია აგრეთვე „ტანვარჯიში“, „ფეხბურთი“, „ფრენბურთი“, „კალათბურთი“ და ბევრი სხვა სპორტული თუ ტექნიკური ტერმინი) — დაინერგა ჩვენს ყოველდღიურ მეტყველებაში, ისევე როგორც თავის დროზე მამამისის, ნიკო ნიკოლაძის მიერ შექმნილი „ლიანდაგი“ ან „ორთქლმავალი“. გიორგი ნიკოლაძის სიტყვათქმნადობის ზოგიერთი ნიმუში კი, მსგავსად „მენიკისა“ ან „ტვირთმტარისა“, ქართულმა ენამ მიზეზთა და მიზეზთა გამო ვერ იგუა.

მკითხველი, რაღა თქმა უნდა, შიხვდება, რომ ჩვენს პუბლიკაციაში შენარჩუნებულია გიორგი ნიკოლაძის მართლწერაცა და ტერმინოლოგიაც 1924 წელს გამოცემული სტენოგრამის მიხედვით. თვით ეს სტენოგრამა დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და ვფიქრობ, მისი გამოცემა მყინვარწვერის ექსპედიციის მესამოცე წლისთავზე საინტერესო იქნება იმათთვისაც, ვინც თავად იყო საბჭოთა ალპინიზმის დაბადების მომსწრე, იმათთვისაც, ვინც ეს შესანიშნავი მთასვლური ტრადიციები განაგრძო და პაჭირის ერთ-ერთ უსახელო მწვერვალს გიორგი ნიკოლაძის სახელი დაარქვა და იმათთვისაც, ვინც ქართველი მთამსვლელების მყინვარწვერზე ასვლას უკვე შორეულ ისტორიად აღიქვამს, ხოლო გიორგი ნიკოლაძის სახელს — მშვენიერ ლეგენდად.

ზაზა აბზიანიძე

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების
მოამბე.

1924 წ. № 1

მთასელა-მგზავრობნობის განყოფილების წერილები.

დოც. გ. ნიკოლაძე

პირველი ქართული ასვლა მყინვარ-წვერზე.

ტფილისი.
ს. ფ. უ. ს. პოლიგრაფ. განყ. №0-ე სტამბა.
1924

მ ზ ა დ ე ბ ა

ჩვენ ჯგუფს მიზნათ აქვს საქართველოს ყველა მხარეების გაცნობა. უკვე ხუთი წელიწადია, რაც ჩვენ ამ მიზანს თანდათან ცხოვრებაში ვატარებთ. კავკასიონის ქედის მწვერვალებმა დიდი ხანია მიიპყრეს ჩვენი ყურადღება. მათი ძნელად გასავლელი და სახიფათო კლდოვან-ყინულოვანი ბილიკები, გვიზიდავდნენ. ამ მიუვალ მწვერვალთა შორის . მ ყ ი ნ ვ ა რ-წ ვ ე რ ი (მყინვარი, აგრეთვე ყაზბეგი) რაღაც მიუწვდომელ, შორეულ, მაგრამ მშვენიერ ოცნებათ გვეჩვენებოდა.

მაღალ მთებზე ასვლების სხვადასხვა აწერილობათა წაკითხვის შემდეგ ერთი საკითხი გვებადებოდა: რატომ არის, რომ ინგლისელები, გერმანელები, რუსები ახერხებენ მაღალ მწვერვალებზე ასვლას, და ჩვენ ქართველები კი, რომლებსაც ჯომარდობის (სპორტის) სხვადასხვა დარგში დიდი უნარი გამოგვიჩენია, მთასვლაში კი (ე. ი. ალპინიზმში) აქამდის სრულიად არაფერი გაგვიკეთებია. „თუ სხვებს შეუძლიანთ, ჩვენ მით უფრო შევძლებთ, რადგან ჯომარდობაში დახელოვნებული ვართ“, ვფიქრობდით და ამიტომ თვით მყინვარ-წვერზე ასვლა განვიზრახეთ. გავეცანით ტფილისში მთებზე ასვლის შესახებ არსებულ მთელ ლიტერატურას და განსაკუთრებით კი მყინვარ-წვერის შესახებ.

მყინვარ-წვერი 5047[1] მეტრის სიმაღლეს აღწევს და ძალიან ძნელად მისაღწევ მწვერვალად ითვლება, რადგან მის ფერდობებს ყოველ მხრივ საშინელი დაქანება აქვს. თვით იალბუზზედაც (5629 მეტრი)[2] ასვლა, რომელიც მყინვარ-წვერზე 600 მეტრით მაღალია, გაცილებით ადვილი ყოფილა. პირველი ადამიანი, რომელმაც გაბედა და მყინვარის თხემზე ფეხი შესდგა, განთქმული ინგლისელი მთასვლელი Freshfield-ი იყო. 19 ივნისს 1868 წელს ის და მასთან ერთად Jucker-ი, Moor-ი და გამოჩენილი ალპიელი გამყოლი. Devoissoud მყინვარ-წვერზე აღმოსავლეთის მხრიდან ავიდნენ. ეს გზა სოფელ გერგეთიდან იწყობა და ეხლა ასასვლელად უძნელეს გზათ ითვლება. ამის შემდეგ სხვადასხვა დროს ამ შესანიშნავ მწვერვალზე უკვე მთელი რიგი უცხოელები ასულა; მაგალითად 1889 წ-ის 29 ივლისს გამოჩენილი რუსი მთასვლელი პასტუხოვი, 1891 წ. 18 ენკენისთვეს[3] განთქმული გერმანელი Merzbacher-ი. 1901 წლის 2 აგვისტოს ავიდა პირველი ქალი მარიამ პრეობრაჟენსკი. ეს საკვირველი ქალი შემდეგ კიდევ ბევრჯერ ასულა, დღემდის სულ 9-ჯერ და ეხლა კი, 60 წლის მოხუცს, მე-10-ჯერ ასვლა განუზრახავს. რაც შეეხება ქართველებს, გარდა ადგილობრივი მოხევე გამყოლებისა, ცნობა არა გვაქვს,

---

[1] უახლესი აზომვების თანახმად — 5039 მეტრი.

[2] იალბუზის დასავლეთ მწვერვალის სიმაღლეა 5642 მ., ხოლო აღმოსავლეთის — 5621 მ.

[3] ანუ — 18 სექტემბერს.

რომ ვინმე ასულიყოს. ვგონებ, რომ ჩვენს წინად მყინვარ-წვერზე, ან და სხვა რომელიმე მაღალ მთაზე არც ერთი ქართველი მოგზაური ტურისტი არ ასულა[1]. მოხევეები კი, როგორც გამყოლები, ხშირად ადიოდნენ. მათ შორის ყველაზე ცნობილია სოფ. ცდოს მცხოვრები გახა წიკლაური, რომელიც უწინ 15-ჯერ ასულა მყინვარ-წვერზე და ეხლა, ჩვენს შემდეგ, დიდებულიძის ექსპედიციახ მე-16-ჯერ აჰყვა.

ყველაფერი, რასაც ლიტერატურა გვაწვდიდა, წარსულს შეეხებოდა. ამ უკანასკნელ დროს კი, უკვე რამოდენიმე წლის განმავლობაში, აღარავინ ასულა. უცნობი იყო თოვლის და ყინულის მდგომარეობა. მოშლილი იყო ყველა ბილიკები და გზის მაჩვენებელი ნიშნები, ამიტომაც ჩვენი გადაწყვეტილება: „მყინვარ-წვერზე ასვლა“ ერთგვარ გაბედულობას წარმოადგენდა და, თუმცა თავი ამაყათ გვეჭირა, მაგრამ ათასნაირი ეჭვი გვეპარებოდა: „ვაი თუ ვერ ავიდეთ“.

თავდაპირველად სიარულში გავვარჯიშდით: ზაფხულის განმავლობაში მოვაწყეთ მრავალი გაფრენი (ექსკურსია) და ამ გაფრენებზე შევეჩვიეთ სიარულს ყოველგვარ პირობებში: კლდოვან გზებზე, კარგ და ცუდ ამინდში, დღისით და ღამე და დიდ მანძილზე. სხვათა შორის, ვიყავით ჩა-

---

[1] გამონაკლისს წარმოადგენს მოხევე სტუდენტი ანდრია თოფაძე (საქ. გეოგრაფიული საზოგადოების წევრი), რომელიც პირველად 1911 წელს ავიდა მყინვარ-წვერზე და შემდეგაც რამდენჯერმე ასულა — (ავტორის შენიშვნა).

თბილისის ქარხანაში, რომელიც ტფილისზე 73 კილომეტრით დაშორებულია; მთელი ბორჩალო ორ-გზათ ფეხით გავიარეთ.

სიარულში გავარჯიშების გარდა, საჭირო იყო სხვა მხრივადაც მომზადება, და ჩვენ ამასაც მუყაითად შეუდექით.

ცნობილია, რომ მაღალ მთებში შუა ზაფხულშიაც ხშირად დიდი ყინვები იცის, და ამისათვის საჭირო იყო თბილი და მსუბუქი ტანსაცმელი. აგრეთვე საჭირო იყო ფეხსაცმელი, სამთასვლო წერაქვები, ანუ წერაყინები, თოკები, ბნელი სათვალეები, კარავები და განსაკუთრებული სურსათი. ყველაფერი ეს დიდ ზრუნვას და დიდ ხარჯებს მოითხოვდა. ამაში დიდი დახმარება მთავრობამ გაგვიწია. ყოველი დაწესებულება, რომელსაც მივმართეთ, რამეს გვაძლევდა. განსაკუთრებით კი დაგვეხმარნენ: განათლების კომისარის მოადგილე მარიამ ორახელაშვილი. ს. მ. უ. ს.[1]. ლითონთა განყოფილების უფროსი ბ. კალანდაძე. საქართველოს სპარტაკის თავმჯდომარე ნ. ცინცაძე, ცეკავშირის თავმჯდომარე მ. ბოროდულიძე. ხოლო უმთავრესი ჩვენი ხელის შემწყობი სახ. განათლების კომისარი დ. კანდელაკი იყო. თავაზად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მხოლოდ იმ იშვიათმა მთავრობამ, რომელიც ამხ. ი. კანდელაკმა ჩვენ ექსპედიციას აღმოუჩინა, შესაძლებელი გახადა ჩვენი ოცნების სისრულეში მოყვანა. მის

---

[1] ს. მ. უ. ს. — სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს აბრევიატურაა.

გიორგი ნიკოლაძე ეროვნული ტანსაცმელში

ეროვნული ბიბლიოთეკის ეზოში ბიბლიოფილთა ერთი ჯგუფი — ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოფილ-ენთუზიასტებისა და ბიბლიოფილ-ენციკლოპედისტების ერთ-ერთი ასეთი ჯგუფი — ეროვნული ბიბლიოთეკის ეზოში, ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოფილ-ენციკლოპედისტ-ენთუზიასტ-ბიბლიოფილ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოგრაფ-ბიბლიოლოგ-ბიბლიოფილ-ენციკლოპედისტ-ენციკლოპედიოლოგ-ენციკლოპედიოგრაფ-ენციკლოპედიოფილ

გიორგი ნიკოლაძე

დაუხმარებლივ ჩვენ მყინვარ-წვერზე ვერ გაე-
მგზავრებოდით.

მიუხედავად ყოველგვარი დახმარებისა, აუ-
რებელი სარბენი და საზრუნველი მაინც გვაწვე-
ბოდა თავზე. ზაფხული მიწურული იყო და აჩქა-
რება გვმართებდა. თავ-გადაგლეჯილები დავრბო-
დით სხვა-და-სხვა დაწესებულებებში. ქარხნებში,
მაღაზიებში. ერთ დღეს განგებ ბიჯზომი (ფეხით
გავლილი მანძილის მზომელი) ვიყიდეთ ქაშარზე:
იმან მიჩვენა, რომ ამგვარ რბენაში, დილის 9-სა-
ათიდან 3-საათამდე, 27 კილომეტრი გამეკლო.

ყოველი წვრილმანი გვქონდა გათვალისწინე-
ბული: ზოგი მასალები ტფილისში არ იშოვებო-
და, და ჩვენ ჩვენივე ნახაზებით გავაკეთებინეთ.
მაგალითად, არსენალში დაგვიმზადეს ყინულის სა-
ტეხი ალპიური წერაქვები (წერაყინი), ალპიუ-
რი ჯოხები, ვიშოვეთ ორი დიდი ყარავი. ასვლის
დროს ერთმანეთზე გადასაბმელი გრძელი თოკე-
ბი (თითო 20 მეტრის სიგრძისა); ყველამ თავის-
თვის იშოვა ნაცნობებში თბილი ტანსაცმელი,
რომელიც დაახლოებით შემდეგი უნდა ყოფილი-
ყო: თბილი ქსოვილი (ფუფაიკა) და ტყავის „კურ-
ტკა", მატყლის შარვალი, თბილი პაიჭები, თავ-
ზე — მოქსოვილი თბილი ჩათხუტი, თბილი ხელ-
თათმანები და ნაბადი. ეს ყველაფერი იმოენად
თბილი უნდა ყოფილიყო, რომ ოო ყინულში და-
მომზადარიყო. გარდა თბილი ტანისამოსისა, შევი-
ძინეთ ბნელი სათვალეები და განსაკუთრებული
ყურადღება ფეხსაცმელს მივაქცეთ. ამისთვის

მოვძებნეთ მცოდნე პირი, რომელმაც გვასწავლა მთიულური ფეხსაცმელის კერვა. ეს ფეხსაცმელები, სახელათ ბანდულები, ძალიან მოქნილ და ბსუბუქ წულას წარმოადგენს, რომელსაც, ძირის მაგიერ, დაბანდული თასმა აქვს; შიგნით თივა იფინება. ფეხი შიგ რბილათ და თბილათ არის. მთებზე და თოვლზე სიარულის დროს ფეხი არ ცურავს, რადგან თასმები უშლიან ამას. ეს ჩვენ უწინაც გაგვეგონა, მაგრამ ბანდულის შეკერვა არ ვიცოდით. რაკი ესეც ვისწავლეთ, შევიძინეთ ტყავი, და ერთმა ჩვენთაგანმა, რომელიც წულის კერვაში დახელოვნებული იყო, იკისრა ბანდულების დამზადება. მაგრამ ბანდულის დაბანდვა ჩვენთვის შემცდარათ ესწავლებინათ და ამან შემდეგში საკმაოდ გაგვაწვალა. სურსათიც განსაკუთრებული დავამზადეთ, რომელიც მაღალ მთაში და სიცივეში გამოსადეგია: ქონი, კონსერვები, კაკაო, შოკოლადი, შაქარი, დაყურსული რძე, ყავა და ტკბილი ნახმი (სუხარი).

ბოლოს, როცა ეს ყველაფერი მზად გვქონდა, ავტომობილის შოვნა იმდენად გაგვიძნელდა, რომ ამის გამო კინაღამ დაგრჩით. მაგრამ ბოლოს ო. კ. ა.-ს[1] დახმარებით ვიშოვეთ სატვირთო ავტომობილი (ტვირთმატარი). ჩემ ბინაზე საწყობი მოვაწყეთ და ყველაფერს იქ მოუყარეთ თავი; არ დაგვიწყებია აგრეთვე ავტომობილის ძველი სალტეები, რომლებიც შემდეგ კარაქზე გადაგვცვალეთ ფასანაურში.

---

[1] ო. კ. ა. — Отдельная Кавказская Армия:-ს აბრევიატურა.

მყინვარის გაფრენზე 27 კაცი მიეგზავნებოდით. 18 „ძმა“ და 9 „და“. აი მათი სია.

ძ მ ბ ი:

1. ალიხანოვი გიორგი, ტანვარჯ. წურთნელი, სოხუმი 19 წლის.
2. ალნიაშვილი ატო „ სტუდენტი, ქართველი 19 წ.
3. ბაუმგარტერ ფრიდრიხ „ მასწავლ., გერმანელი 26 წ.
4. გიორგობიანი კონსტ. „ წურთნ., მოწაფე, ქართ. 17 წ.
5. ვაჩნაძე დიმიტრი, მოწაფე. ქართველი . . 20 წ.
6. კილაძე ალექსანდრე, ტანვარჯ. წურთნ., ქართ. 17 წ.
7. კრივოზუბკინი ბორის, „ სტუდენტი, ყაზახი 19 წ.
8. კუკავაძე იოანე, ტანვარჯ. მასწავლ., ქართველი 26 წ.
9. თუმანიშვილი იოსებ. მოწაფე. ქართველი. . 14 წ.
10. მამამთავრიშვილი ზაქარია, ტანვარჯ., წურთნ., სტუდ. ქართ. . . . . 20 წ.
11. მათიაშვილი მიხეილი, მანტიორი, ქართველი 22 წ.
12. მაჩავარიანი ფოთა. ტანვარჯ. წურთნ., ქართველი 20 წ.
13. მშვიდლიშვილი ვასილი „ „ „ 20 წ.
14. ნიკოლაძე გიორგი. დოცენტი. ქართველი... 25 წ.
15. პაციდორთი კურტი, სტუდენტი, შვიდელი ... 19 წ.
16. რომანკევიჩი პაველ. მოვარჯიშე, მოწაფე., ქართველი . . . 15 წ.
17. ტორეშელიძე გოგი „... „... „... 16 წ.
18. ჭინჭარაძე მიხეილი, ტანვარჯ., წურთნ., მოწაფე. ქართ. . . . . 18 წ.

დ ე ბ ი:

1. ბეჟანიშვილი ვერა, მოვარჯიშე, მოწაფე, ქართველი 15 წ.
2. ბეჟანიშვილი მარო, ტანვარჯ., მასწავ., სტუდენ., ქართ. . . . . 19 წ.
3. კლიმიაშვილი სალომე, მოვარჯიშე, მოწაფე, ქართველი . . . . . 16 წ.
4. ლორთქიფანიძე ელენე, ტანვარჯ., მასწ., სტუდენ.. ქართ. . . . 19 წ.
5. ნიკოლაიშვილი ასმათი, წურთნ.. მოწაფე. ქართველი 17 წ.
6. ტყავაძე მარიამი. ტანვარჯ., მასწ.. სტუდენტი. ქართ. 21 წ.
7. ჩიჯავაძე თამარი, შრომ. სკოლის ეამგი. ქართველი
8. ჩხეიძე ლიდა, ტანვარჯ., მასწ., სტუდენტი, ქართველი . . . . . 23 წ.
9. ხუციშვილი თამარი, მოვარჯიშე, მოწაფე, ქართველი . . . . . 15 წ.

ამათგან მხოლოდ 19 უფროსი აპირებდა მყინვარ-წვერზე ასვლას, დანარჩენები კი მხოლოდ, ეგრედ წოდებულ, „ერმოლოვის ქოხამდე“ (რომელსაც ქართულად „შევარდენის ბუდეს“ ეძახიან) მიემგზავრებოდენ. მაგრამ მომზადება ყველას სჭირდებოდა. ვინაიდან „შევარდენის ბუდეც“ 3620 მეტრის სიმაღლეზეა, ე. ი. მუდმივი თოვლის ხაზზეა, და სიცივე აქაც მოსალოდნელი იყო.

ვინაიდან ჩვენ შორის უმეტესობა სრულწლოვანი არ იყო და ვინაიდან ჩვენებს თოვლიან მთაში ჯერ არ ევლოთ, ამიტომ მე ისინი წინდაწინ შევყარე და დაწვრილებით ყველა მოსალოდნელი შემთხვევები გაუთვალისწინე. მე მათ აუხსენი, რომ ასეთ სახიფათო გაფრენზე ამდენი ხალხის ერთად წასვლა მეტად ძნელია და ამიტომ საჭიროა ძლიერ მკაცრი წესმორჩილება, თორემ შესაძლებელია, რომ ვინმე დაიღუპოს კიდეც. გავაფრთხილე კიდევ, რომ რადგან „შევარდენის ბუდემდე“ სანოვაგის ატანა ძნელია ჩვენ იქ მხოლოდ მინიმუმს წავიღებთ და შესაძლებელია დარი ხელსაყრელი არ დაგვიდგეს, ცდა დაგვჭირდეს და შიმშილის ატანა მოგვიხდეს. ამისთვის და კიდევ სხვა მოულოდნელ შემთხვევისათვის მზად უნდა ვიყოთ: ჩვენი მთავარი მიზანი ყოველთვის თვალწინ უნდა გვედგას და ყოველ გასაჭირში გვამხნევებდეს. გარდა ამისა, მე მივმართე იმათ, ვინც მხოლოდ შევარდენის ბუდემდე მიემგზავრებოდა, რომ მათ მთავარ დანიშნულებას, მწვერვალზედ ამსვლელთა დახმარება წარმოადგენს,

რომ ამიტომ მუშაობა და მოთმენა უმეტესად მათ დააწვებათ. ყველა გულმოდგინეთ მისმენდა და ეტყობოდათ, რომ ერთი სურვილი აღაფრთოვანებდა ყველას. ამავე კრებაზე დარიგდა მომზადებული მოწყობილობა.

მარიამობისთვის 21-ს[1] საღამოს ყველამ ჩემთან მოზიდა თავისი ბარგი. ყველაფერი ჩემს მიერ გასინჯული იყო, რადგან ვიცოდი, რომ ნოუნბადებლობამ

კა კუკავაძეს — წესმორჩილების ზედამხედველობა; მაჭრო მამამაიავრიშვილს — ბარგის ზედამხედველობა. დანიშნულ იქმნა კარავების დამდგმელი და მომხსნელი კომისია. უფროს დებს სურსათის დარიგება ხედა წილათ და სხვა.

2. ტფილისიდან სტეფან-წმინდამდე.

22 აგვისტოს, დილის 6 საათზე, უკვე ყველა თავმოყრილი ვიყავით და ტვირთმატარს უცდიდით. ტვირთმატარი კი იგვიანებდა. მოვიდა სოსო ასლანიშვილი[1], რომელიც დიდებულიძის[2] სამეცნიერო ექსპედიციაში (ე. ი. ობსერვატორიის) ღებულობდა მონაწილეობას. ეს ექსპედიცია ჩვენ შემდეგ უნდა წამოსულიყო; მას მძიმე სამეცნიერო იარაღი მოჰქონდა თან; ჩვენი გაფრენი ამ ექსპედიციის წინამორბედი უნდა ყოფილიყო, ე. ი. მისთვის გზა უნდა გაეგნო. სოსო ჩვენი უწინდელი გაფრენების აუცილებელი მონაწილე იყო და ეხლა გული სწყდებოდა, რომ ჩვენთან ერთად ვერ მოდიოდა. ჩვენი მოგაფრენეები ტვირთმატარის მოლოდინში დაგის ძალების შინკვას შეუდგნენ. ქუჩის აივნების შორის მესამე სართულის სიმალ-

[1] იოსებ ანტონის ძე ასლანიშვილი (1891—1955) — ცნობილი ქართველი ექიმი-ენდოკრინოლოგი და მთამსვლელი.

[2] ალექსანდრე იოსების ძე დიდებულიძე (1892—1952) — ცნობილი ქართველი მეცნიერი, ელექტროტექნიკის პროფესორი, რომლის ხელმძღვანელობითაც იმავე, 1923 წ. თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის ექსპედიციის მეორე ნაწილი მყინვარწვერზე.

ლეზე თოკები გააბეს და ჰაერში ხელებით დაკიდულები გადი-გამოდიოდნენ. ერც დები ჩამოუვარდებოდნენ ამგვარ ვირჯიშში ძმებს. ქუჩაში ხალხი მოგროვდა და გაკვირვებული შეჰყურებდა ამ სანახაობას. „ესენი მყინვარ-წვერზე კი არა, სადაც გინდა იქ ავლენო“, — ამბობდნენ.

პირველი საათი იყო, როდესაც ტვირთმატარის მოსვლას ველოდებოდით. უზარმაზარი ტვირთმატარი „3 ტონიანი“ იყო, მაგრამ ჩვენც ბევრნი ვიყავით და ბარგიც აუარებელი გვქონდა. მაქროს მეთაურობით ბარგი დატვირთული იყო. ჩვენც, როგორც იყო, მოვთავსდით შიგ და ორ საათზე დავიძარით. ტვირთმატარი სიმძიმისაგან ძალიან ხმაურობდა; ჩვენ ვეხმარებოდით და ამ ქივილ-ხივილით და სიმღერით გავუდექით გზას. რუსთაველის პროსპექტზე ხალხი განცვიფრებით გვიყურებდა; ჩვენ კი ვფიქრობდით: „თქვე საცოდავებო, რა იცით, თუ სად მივდივართ“. ამ დროს გამოჩნდა პროფ. დიდებულიძე. ავტეხეთ საშინელი ყვირილი. იგი ჯერ ვერ მიხვდა, შემდეგ გაიღიმა, თითქოს ჩვენი გატაცება მასაც გადაედო, ქუდი მოიგლიჯა და აღტაცებით მოგვესალმა.

გავედით ქალაქ გარეთ, გზაში ქარი ამოვარდა. ტვირთმატარში ძალიან მჭიდროთ ვისხედით და საშინლათ ვიბეჟებოდით. ბინდისას მივაღწიეთ დუშეთს. ბინათ აღმასკომის აივანი მიგვიჩინეს. დუშეთის დათვალიერებას შეუდექით, ვკითხეთ ერთ მცხოვრებს, თუ ცენტრი სად არის. მან სა-

ოცარი სისწრაფით გვიპასუხა: „ცენტრიც, ბოლოც და თავიც ეს არისო“.

ღამე, როგორც იყო, გავათენეთ და დილით ადრე ავდექით. ძალიან ციოდა. ქარიც გვარიანად უბერავდა. ზოგმა იქვე, ქალაქის ბაღის აუზში გასათბობათ ზე-ტანი ცივი წყლით დაიბანა. აღსანიშნავია ერთი „უბედური“ და სასაცილო შემთხვევა: ასმათ ნიკოლაიშვილი, რომელიც პირს იბანდა იმავე აუზში, როგორღაც შიგ ჩავარდა. აუზი ერთი საჟენი სიღრმისა იყო, მაგრამ ასმათმა მოასწრო და გადებულ ფიცარზე ჩაშოეკიდა, ამიტომ მხოლოდ წელამდე დასველდა.

იმავე დილას, გამგზავრების წინ, შოფერმა გაგვაფრთხილა: რაც უნდა მოხდეს არ შეგეშინდეთ, რადგან ცუდი გზაა. მართლაც, ერთ-ერთ შესახვევზე კოწია გიორგობიანი ჩამოვარდა. გული წაუვიდა, მაგრამ მალე გონს მოვიდა და ეს ჩამოვარდნა არაფრად მიიჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ ქარი ჰქროდა და ძალიან ციოდა, მშვენიერი დარი იყო; ცაზე ერთი ღრუბელიც არ ჩანდა. ფასანაურში მივედით. იქ ერთი საათი გავჩერდით. ციოდა, არაგვზე საბანაოდ წავედით. წყალი ყინულივით ცივი იყო, მაგრამ სასიამოვნო. ამასთან ბანაობის დროს დიდი სიფრთხილე იყო საჭირო, რომ არაგვის მკაცრ და სწრაფ ტალღებს ქვევით არ გავეტაცნეთ. „მე არ მიბანავნია“, — სწერს თავის დღიურში მარო ბეჟანიშვილი: „მე და ლიტუსი ჩხეიძე გავყევით არაგვს, გადავედით ხიდზე, მივედით იმ ალაგს, სა-

დაც შავი და თეთრი არაგვი ერთმანეთს ერთვიან. ბალიან ლამაზი სანახავია ეს ადგილი. ბარჯვნიდან მოგრიალებს თეთრი არაგვი, ხოლო მარცხნიდან — შავი; ამ უკანასკნელის მდებარეობა უფრო დაქანებულია, ამიტომ იგი უფრო მეტი სისწრაფით მოექანება, ვიდრე თეთრი. თან მოაქვს ქვიშა და ლამი, რის გამოც შავი ფერი ეძლევა. შეერთების შემდეგ კიდევ რაზოდენიმე საჟენი ცალკე მიგრიალებენ. აღარ მინდოდა ამ ადგილიდან წასვლა".

ფასანაურში მთიულები ძალიან აფასებენ მანქანის (ავტომობილის) ძველ სალტეებს, რისგანაც ქალამნებს იკერავენ. ჩვენც ორი სალტე 18 გირვანქა კარაქზე გადავცვალეთ, ტვირთმატარში ჩავსხედით და გზას გაუდექით.

აღმართის დროს ხშირად ჩამოვდიოდით და ტვირთმატარს ფეხით მივსდევდით. ბლეთის ხიდიდან გუდაურამდე ზოგნი მოკლე გზით ფეხით ავედით და ტვირთმატარს ერთი საათით გაუსწარით. სოფ. კაიშაურთან მაღალ სერზე სდგას ბესანიშწავი სილამაზის ციხე. მისი სახელი ვკითხეთ ერთ კაიშაურელს, რომელიც იქვე თივას თიბავდა. იმან ჯერ ვერ გაიგო ჩვენი ქართული გამოთქმა, მერე კი გვიპასუხა უცნაური მთიულური კილოთი, რომ ამ ციხეს ცეცხლის ჯვარი ჰქვიან.

ჯვრის გადასავალზე ძალიან ციოდა, ბთები ნისლში გაეხვიენ, აწვიმდა კიდეც. ჩვენ თანდათან თბილათ ვიცვამდით. ბოლოს კობისაკენ ისე აცივდა რომ აგვაკანკალა. ჩვენ გვეცინებოდა და

თან ვშიშობდით, აქ თუ ასეა, „იქ“ რაღა მოგვივა. დაიწყო დაღმართი და ჩვენ სწრაფად დავქახდით. წვიმაც უმატა. ყინვა დაიწყო; ტახსაცმელზე წვიმის წვეთები იყინებოდა. ყველამ ნაბდები წავიხურეთ. ერთ ხიდზე ტვირთმატარი შევაჩერეთ და, მიუხედავად სიცივისა, გავიქეცით მაღნეულ წყალზე მჟავე წყლის დასალევათ. დიდხანს აღარ გავჩერდით, რადგან ბნელდებოდა. საღამოს 9 საათზე სოფელ სტეფან-წმინდაში (სადგური ყაზბეგი) ჩავედით; ოტელ პარიზი ბინათ მიგვიჩინეს. საჩქაროთ ჩამოვხტით და თბილ დარბაზში შევედით. გაყინულებს სითბო ძალიან გვიამა. ამოვზიდეთ ბარგი და ვახშმის მზადებას შევუდექით. ზოგმა ვახშმის მოლოდინში ტკბილ ძილს მისცა თავი, ზოგი კი გულმოდგინეთ შეჰყურებდა პრიმუსებს და სპირტის სათბურებს, რომლებზედაც ვახშამი მზადდებოდა.

8. სტეფან-წმინდა. ზინოს-ყველზე ასვლა.

მე და ვანიჩკა დილით რიჟრაჟზე ავდექით, რადგან ამინდი გვაღელვებდა; გამოვედით კარში, ძალიან ცივდა, ცა მოწმენდილიყო, რასაც არ მოველოდით. მხოლოდ ნისლს მთები სულ დაეფარა. მაგრამ ეს ნისლი თანდათან იფახტებოდა. მივედით ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლთან და იქიდან მყინვარწვერს გავხედეთ. ნისლის გარდა, ჯერ ვერაფერს ვხედავდით, მაგრამ უცბათ და სრუ-

ლიათ მოულოდნელად იმ თხელ ნისლის უკან წითლად შეღებილი მ.ყ ი ნ ვ ა რ-წ ვ ე რ ი ს სახე გაჩოიხატა. გაჩვირვალე ნისლის ფარდის უკან ჩყინვარწვერის მოულოდნელი გამოჩენა, ჩვენთვის ჯერ აუხსნელი რამე იყო და რაღაც სასწაულს მიგავდა. მერე კი მივხვდით, რომ ეს აუწერელი სილამაზის მოვლენა უბრალო კოსმოგრაფიული ხასიათის მოვლენა იყო: ჩვენ მყინვარწვერს ქვევიდან შევყურებდით; ჩვეხსა და მწვერვალის შორის, მხოლოდ დაბლა და ჩვენსკენ უფრო ახლო, თხელი ღრუბელი მოთავსებულიყო. თვით მყინვარწვერი კი იმ ღრუბელზე ბევრად მაღლა, მოწმენდილ ცაზე ყოფილიყო. როდესაც ამომავალ მზის სხივებმა თავდაპირველად მყინვარწვერი წითლად გაანათეს, მისი ბრწყინვალება თხელ ღრუბელმა ველარ დაჰფარა და ის მთელი თავისი სიდიადით, სასწაულებრივ ჩვენს თვალწინ წარმოსდგა.

ვანიჩკა გაიქცა ჩვენების დასაძახებლად, რომელნიც, ზოგი საბანში, ზოგი ნაბადში და ზოგიც ფეხშიშველა მოცვივდნენ. ამასობაში ნისლი თანდათან გაიფანტა და ამომავალ მზის სხივებისაგან წითლად აქათქათებული მყინვარწვერი თავს წამოგვადგა. გეგონებოდა, რომ ის სულ ახლოს, აქვე არის. მზის შუქი თანდათან მეტ არემარეს ეფინებოდა და მყინვარწვერი თავის ფერს თანდათან ჰკარგავდა. მზემ მალე სტეფანწმინდაც გააშუქა.

ჩვენ დილიდანვე შევუდექით გაშყოლების ძებნას, რომელნიც მალე ვიპოვნეთ; ესენი იყვნენ

ადგილობრივი სოფლელები: ცნობილი გაბუყოლი იაგორ კაზალიკაშვილი და განთქმული მონადირე ლევან ქუშაშვილი. იაგორმა გაშინჯა ჩვენი ერთი გოჯის სისქის თოკები, ბანდულები და სიცილი დაიწყო: „აი, როგორ გეტყობათ, რომ მთაში არასოდეს გივლიათ: „მყინვარწვერზე“ ცარიელებიც ვერ ახვალთ და ამისთანა თოკს ვიხ აიტანსო!“ ბანდულების გულისათვის მთელ სტეფანწმინდამ სასაცილოთ აგვიგდო. „ასეთი ბანდულებით თევზს თუ დაიჭერთო“. მართლაც, ჩვეხი ბანდულების ძირი ბადესავით ნასკვებით იყო დაწნული; დაბანდვის წესი კი თურმე სულ სხვა ყოფილა — უნასკვო, რათა სიარულის დროს ფეხი არ დაბეჟილიყო. საჭირო გახდა ბანდულის ძირის დაშლა და ხელ მეორეთ, იაგორას ზედამხედველობით, გაბანდვა. გარდა ამისა, იაგორამ სთქვა, რომ უწრიაპოთ ვერ ახვალთო. თითოს თითო წყვილი წრიაპი უნდა ჰქონდესო (წრიაპი — ეს კბილებიანი რკინებია, რომელსაც ყინულზე სიარულის დროს ფეხზე მიიმაგრებენ, რომ ფეხი არ დაცურდეს) ამის გამო იძულებული გავხდით ყველახი ორი დღე სტეფან-წმინდაში დავრჩენილიყავით, რომ ყველაფერი მოგვემზადებინა. სტეფახ-წმინდა და გერგეთი წრიაპების ძებნაში დავიარეთ; ზოგი მჭედელს შეუკეთეთ, ზოგი მოხეველებში მოვაგროვეთ და ამ გვარად უმეტესი რიცხვი საჭირო წრიაპებისა შევიძინეთ. სულ სხვადასხვა სახისა: ინგლისური, შვეიცარიული და ადგილობრივი. ჩვენი შეკვეთილი წრიაპები ორი დღე ამზადებოდა

და ჩვენც - იმათ მოლოდინში მცირე გაფრენები მოვაწყეთ. ერთი ჯგუფი წმინდა სამების ეკლესიისაკენ გაეშგზავრა, რომელიც მყინვარის მხარეს მთა კორტოხზეა ამართული; მეორე ჯგუფი გერგეთის მეორე წყაროზე წავიდა. ერთი, ყველაზე უფრო ლონიერი ჯგუფი, შაქროს მეთაურობით შინოს მთის წვერისაკენ (3850 მეტრი) გაემგზავრა. რომელიც სტეფანწმინდის აღმოსავლეთ მხარეზე ამაყად ამართულა და მთელ არე-მარეს დასცქერის. ისინი შეიარაღდნენ ყოველგვარი იარაღებით: წერაყინებით, ჩაქუჩებით, რკინის პალოებით, თოკებით, წაიღეს თან თბილი ტანსაცმელი და შეუდგნენ გზას. აქ თავი იჩინა მთასვლაში ჩვენმა გამოუცდელობამ. ზედმეტი ტანსაცმელი და იარაღი იმდენად უძნელებდა მათ სიარულს, რომ ასვლის დროს ისინი თანდათან იმსუბუქებდნენ თავს და ყველაფერს გზაზე სტოვებდნენ. ბოლოს მხოლოდ მსუბუქ ტანსავარჯიშო ტანსაცმელში და წერაყინით ხელში განაგრძეს გზა. რაც შეეხება თვით გეზს, იქაც მოუფიქრებლობა გამოიჩინეს. იარეს უმოკლესი გზით, მაგრამ ბოლოს ეს უმოკლესი გზა გაუვალი გამოდგა, რადგან ისეთ კლდეს მიადგნენ, რომ მისი მოვლაც და გადავლაც შეუძლებელი იყო. ის კლდე ინგრეოდა და ყველგან ქვები სცვიოდა. იქ იმათ ბევრი მინერალები მოაგროვეს და, მიზნის მიუღწეველად, უკან დაბრუნდნენ. სტეფან-წმინდაში საღამოს საათის 9-ზე მოვიდნენ და გამოაცხადეს, რომ ყოველად შეუძლებელია მყინვარ-წვერზე ასვლა. თუ კი აქ მთის

წვერზე ვერ ავედით. მე უპასუხე, რომ ეს ალბათ ჩვენი გამოუცდელობის შედეგია და მე ამის დასამტკიცებლად თითონ შევეცდები შინოს-წვერზე ასვლას.

იმ საღამოს, სანამ ჩვენები შინოს-წვერიდან დაბრუნდებოდნენ, ჩვენ ვარჯიშობა გავმართეთ. სტეფან-წმინდაში სცხოვრობს ერთი ნიჭიერი ქართველი მოვარჯიშე ბაადურ ყაზბეგი, რომელიც ჩვენ დაგვხვდა, როგორც ნამდვილი ძმა და ყველაფერში გვეხმარებოდა. მას ეზოში ღერძი ედგა და, აბა ჩვენ მას უსარგებლოდ როგორ გაუშვებდით. აქვე ერთი მოვარჯიშე ბიჭი აღმოჩნდა— ჩვენი „ძმა", ლევან პროკოფაშვილის მოწაფე. სხვები შურის თვალით შესცქეროდნენ, რომ იმდენად დაშორებულებმა ჩვენ ის „ძმათ" ვიცანით: აქეთ გავიგეთ, რომ გველეთში (8 კილომეტრის მანძილზეა სტეფან-წმინდიდან) ბავშვების ექსკურსიას ჩამოჰყოლია ცნობილი მთასვლელი პრეობრაჟენსკის ქალი. მაშინვე დავავალეთ ვანიჩკა კუ-�eიძეს, რომ მეორე დღეს ტვირთმატარით წასულიყო გველეთში და პრეობრაჟენსკისთვის ყველა პრაქტიკული ცნობები ეკითხა.

მეორე დღეს მე წინდაწინვე ცეისის შორსათვალით (ბინოკლი) შინოს-წვერზე ასასვლელი გეზი ავარჩიე (ვინაიდან სტეფან-წმინდიდან მთელი გზა სჩანს) და ზოგიერთი ჩვენგანი გაუდგა გზას. ჩვენთან ერთად წამოვიდა ის ხუთი და, რომელთაც მყინვარ-წვერზე ასვლა განეზრახათ.

ჩვენ მიერ არჩეული გზა ბალახიან ფერდობ-

ზედ მიდიოდა, რომლის დახრილობა, დაახლოვებით ერთნაირი იყო და, თითქმის, 60[1] მენაკს უდრიდა თანახმად მაღალ მთებზედ ასვლის თეორიისა, თავიდანვე ნელის ნაბიჯით დავიწყეთ ასვლა და ასე, ნელი სიარულით, მწვერვალამდის ავედით.

მარო ბეჟანიშვილი სწერს თავის დღიურში:

„შუა გზამდის თითქმის ერთად ვიარეთ. მერე ზოგი წინ წავიდა. სამნი: მე, ელიკო ლორთქიფანიძე და გოგი ტოროშელიძე უკან დავრჩით. შემდეგ კი ელიკომაც წინ გაგვისწრო. გოგი სიარულს არ ჩქარობდა. დასვენების დროს ცდილობდა რაც შეიძლება მეტი დრო დარჩენილიყო. დავიხახე თუ არა, რომ გოგი ძალიან ზანტობდა, დავანებე თავი და მარტო წავედი წინ; წინ წასულები ალარ სჩანდნენ. ალბათ, ისინი უკვე წვერზე იყვნენ. დასვენება მალ-მალ მიხდებოდა, რადგან, ცოტა მანძილის გავლის შემდეგ, გული საშინლად მიცემდა. ყოველ დასვენების შემდეგ ძალ-ღონე მემატებოდა ისევ წინ მივდიოდი. აი, გამოვლილია ბალახოვანი გზა და ეხლა დაიწყო კლდეები, სიარული აქ უთრო გამიძნელდა. ფეხსაცმელი თითქმის სულ დამეხა: თანაც საშინლად მწყუროდა, მაგრამ მაინც წინ მივდიოდი იმ იმედით, რომ მალე მწვერვალზე ავიდოდი. მალ-მალე უკან ვიყურებოდი, გოგის ველოდებოდი. იგი კი პირ-ალმა დაწოლილიყო და პასუხსაც არ მაძლევდა. საშინლად მათიჭრებდა მისი მდგომარეობა. ვაი თუ ცუდათ არის. ან გული წაუვიდა, და, ან, აბა, ვინ უშველის თქო.

---

[1] გიორგი ნიკოლაძის ტერმინოლოგიით 60 გრადუსს.

დაბრუნებას ვაპირებდი, მაგრამ, ან მე რაღას ვუშველიდი. მაგრამ, ჩემდა საბედნიეროთ, გოგი წამოდგა და ზანტათ მიიზლაზნებოდა. ის მალ-მალე ჩერდებოდა გულ-აღმა გაიშხლართებოდა და რამდენიმე ხნის შემდეგ ისე განაგრძობდა გზას.

კლდეებზე ფეხები სულ დამებეგვა; წყურვილმაც ძალიან შემაწუხა. კლდეებში წყაროს ვეძებდი. ერთი კლდის ძირში რაღაც თეთრი დავინახე. მივედი და თოვლი გამოდგა, ამან ძალიან გამაკვირვა რადგან თოვლი არსად არ იყო და აქ, ეს პატარა თოვლის ნაგლეჯი, საიდან გაჩნდა თქო, სასწაულად მივიღე; მოვსულიერდი: მათარა გავამსე, რადგან ვიცოდი, რომ ჩვენებიც ჩემ დღეში იქნებოდნენ, და გახარებული ისევ გზას გავუდექი. აი მწვერვალსაც მივუახლოვდი, ზევით ასულებმა შემამჩნიეს და იქიდან ყვირილით მახალისებდნენ".

ბერთლაც, ჩვენ მაროს ზევიდან დავყურებდით და მალ-მალე ძახილით ვამხნევებდით. მალე ისიც ჩვენ გვერდში გაჩნდა.

აქ საჭირო არის აღვნიშნოთ, რომ ის მშვენიერი სანახაობა, რომელიც სოფელ სტეფან-წმინდიდან მყინვარ-წვერისაკენ იხატება, ჩვენი შინოზე ასვლის დროს, თანდათან იცვლებოდა: შედარებით უფრო ახლო მდებარე მთები (მაგალითად, წმინდა-სამების ეკლესიის), ქვევით რჩებოდნენ, ხოლო თვით მყინვარ-წვერი მაღლა-ძაღლა იწევდა, და ბოლოს, აქ, მწვრვალზე რომ ამოვედით, მხოლოდ მაშინ ვიგრძენით სრულად, მყინვარის

ბუმბერაზი სიდიადე. მხოლოდ აქედან დავინახეთ, თუ რა დიდი განსხვავება იყო მასა და სხვა მთებს შორის. სტეფან-წმინდიდან იგი თითქმის დანარჩენ მთების სიმაღლეზეა; შინოს-წვერიდან კი სხვა მთები, მყინვართან შედარებით, მის უმცროს ძმებივით გამოიყურებიან. მყინვარწვერი კი მედიდურად ამართული, მუდმივი თოვლით და მზის სხივებით გაბრწყინებული, შორს მაღლა, მაღლა ცის კიდურს უერთდება.

მისი აღმოსავლეთის ყინვარები და, მათ შორის ჩხარის უშველებელი ყინვარი თვალ წინ გადაგვეშალა. მყინვარ-წვერის მარცხნივ ძნელად მისაღწევი მთა ორწვერია და იქ კი, ორი კილომეტრის სიღრმეში და ხუთი კილომეტრის მანძილზე, სტეფან-წმინდა ჩანს, რომლის ახლოს თერგი მიიკლაკნება. თერგის მრისხანე ხმა აქაც ცხადათ გვესმის. ცეისის შორსათვალით ვხედავთ „ოტელ პარიზის“ წინ მდგომ ჩვენებს, რომელნიც ალბათ ჩვენსკენ იყურებიან. საერთოთ ის სურათი, რომელიც შინოს-წვერიდან დასავლეთის მიმართულებით იშლება, აუწერელი სილამაზისაა. იმის ბადალი. ალბათ, ბევრი არ მოიპოვება მსოფლიოში: უზარმაზარი მთა მყინვარი მთლად მოსჩანს, ე. ი. სტეფან-წმინდიდან, ვიდრე მწვერვალამდე. აგრეთვე არ მოიპოვება სხვა ადგილი, საიდანაც მყინვარი ასე მშვენივრად ჩანდეს. აქედან მეტად, ვიდრე სხვაგან საიდანმე, ადამიანი გრძნობს მის საშინელ სიდიადეს. თუ სტეფან-წმინდიდან მყინ-

ვარ-წვერი სულ ახლოს გვეჩვენებოდა, ახლა ჩვენს თვალ წინ ის

„მოუწდომელი შუქი მაღალი
ოდგა ვით მეფე ასარგადონი
და მთების გარშემ ყალ-მაყალი,
შავი მონები — თეთრი ბატონი“.

(მიქელ პატარიძე)

ჩვენ ისევ ეჭვი შეგვეპარა, ნუთუ იქ ასვლას შევსძლებთ?!

ჰაერის სითხელეს აშკარად ვგრძნობდით. ყოველივე მოძრაობა, გინდ მცირეოდენიც, აჩქარებულ გულის ცემას და ქშენას იწვევდა. მზე ძალიან გვწვავდა. ყველას ძილი მოგვერია და ერთ საათამდე ვთვლემდით.

„მეც წამოვწექი“, — სწერს იგივე ბარო ბეჟანიშვილი: „და კიდეც დამეძინა. მალე წამოვიშალენით. გოგი ჯერაც არ მოსულიყო. მე გავიქეცი ერთ ფრიალო კლდეზე, უფსკრულის თავზე დავჯექი და დავიწყე ქვეით ცქერა. ჩემს გარშემო დუმილია; მხოლოთ ხანდისხანს ყურს აღწევს მრისხანე თერგის ხმა, ან კიდევ მეზობელ „ყუროს-წვერიდან“ წამოსულ ზვავების საზარელი ხრიალი. აგერ ეხლა ნისლი წამოვიდა და დაჰფარა ელიკო, ლიტუსი, გიორგი, მარო ტყავაძე. სრულიად მარტო ვარ. არავითარი ხმაურობა, არც ერთი სულიერი არ არის, ჩემს გარდა. მე, თითქოს, მეფე ვარ ამ მდუმარეებისა. ერთი დაყვირებით შემიძლია დავარღვიო ეს სიჩუმე, გამოვაცოცხლო მკვდარი ბუნება. ჩვენები ისევ ბურუსში არიან გახვეული.

ა-უ-უ-უ: ვუყვირი მათ. ჩემი ხმა რამდენჯერმე მეორდება და იქიდანაც მესმის პასუხი. ვაგორებ დიდ ქვებს, რომლებიც ხრიალით მიგორავენ შორს, უფსკრულისაკენ. რა საშინელებაა აქედან დაგორება, კვდარსაც კი ველარ გიპოვნიან. ქვეით, შორს, უფსკრულის მარჯვნივ კლდოვან ფერდობზე რაღაც მოძრაობს; ის ნელ-ნელა მაღლა ამოდის. ეხლა კი გავარჩიე: ეს გოგია. თუმცა ძალიან ზანტად, მაგრამ მაინც მოდის: მალ-მალ ჩერდება: ისვენებს, კლდეებს გარშემო უვლის, ზოგან ოთხით მოფოფხაპს, წერაყინით საფეხურებს იკეთებს. იმას გზა არევია და პირდაპირ კლდეებზე მოდის. ბურუსმა გადაიარა. ჩვენებიც გამოჩნდნენ: ცა ისევ მოკრიალდა და მყინვარ-წვერიც გამოჩნდა. ჩვენებმაც შეამჩნიეს გოგი. ზევიდან უყვირიან, ამხნევებენ: „ყოჩაღ გოგი, ყოჩაღ, ცოტა კიდევ და ამოხვალ". ცოტა ხნის შემდეგ ისიც მწვერვალზეა".

სანამ მარო კლდეზე იჯდა, ჩვენ ვმუშაობდით: კედელივით შვეულ კლდეზე თან მოტანილ მწვანე საღებავით მრავალი წარწერა გავაკეთეთ. დიდი ფოტოგრაფიული აპარატით (15 გირვანქა წონით), რომელიც მე ამოვიტანე, მყინვარ-წვერის სურათი გადავიღეთ. ამ გათხელებულ ჰაერში ამგვარ „მუშაობამ" ისე დაგვღალა, რომ ისევ წამოწოლა დაგვჭირდა: ჯერ სიმაღლის შეუჩვევლები ვიყავით. ცოტა ხანს კიდევ ვიწექით, შემდეგ სრულიად დასვენებულები ავდექით, თუმცა მაჯა რომ გავიშინჯეთ, ყველას 100-120 გვქონდა, გარდა მარო ტყა-

ვაძისა, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ ოცი წუთით ჩვენზე ადრე ავიდა, მაჯა 80-ს არ აღემატებოდა. ამასთან რაღაც არაჩვეულებრივ სიმხიარულეს ვგრძნობდით და ხტუნვით და სიმღერით შინოს მეორე მხარეს გავსწიეთ. იქაც მშვენიერი გადასახედი ყოფილა. ნისლში უეცრად, თოვლიანი და ყინვარებიანი ეზარმაზარი მთა შანი (4150 მეტრი) გამოჩნდა.

საერთოდ, იქაური ბუნება ძლიერ ველური და მიუვალი ხასიათის ყოფილა. სჩანს, ადამიანი იქ იშვიათი სტუმარია. სამაგიეროთ, ჯიხვის კვალები ბლომად ვნახეთ. იქვე ქარწიბის დამანები (ანუ მთის ბროლის კრისტალები) ავკრიფეთ. აი, ჩვენს გარშემო ღრუბელი იბადება და, შემდეგ, ჰაერის სივრცისაკენ მიისწრაფება. აქ ჩვენ იშვიათი მოვლენის მოწმეები გავხდით. ჩვენი ჩრდილი, ცისარტყელის შარავანდედით მოცული, მახლობელ ღრუბელზე დაიხატა. ყოველი ჩვენგანი მხოლოდ თავის ჩრდილს ხედავდა და დანარჩენებისას კი ვერა. ეს ეგრე წოდებული „ბროკენის მოვლენა" იყო.

მზემ გადიხარა. ჩვენ უკან ვბრუნდებით და, ჩამოსვლის დროს, ბურუსში შევდივართ. აღარაფერი სჩანს; რამოდენიმე ნაბიჯის მანძილზე ერთმანეთს ველარ ვხედავთ. მივდივართ ერთ რიგად ისეთ მანძილზე, რომ ყოველი შუა თავის წინ და თავის უკან მხოლოდ ერთ კაცს ხედავს. და, როგორც კი ვკარგავთ ერთმანეთს მხედველობიდან, ხმას ვაწვდით. ასე დიდხანს მივდივართ გაურკვე-

ველ გეზით. ბურუსი იმდენად სქელია, რომ ჩვენ დაღამებული გვგონია. ვაი თუ გზა დაგვებნეს, რომელიმე კლდეს თავზე წავადგეთ და ვეღარ ჩამოვიდეთ. მაგრამ, ბოლოს ბურუსს გავახწიეთ —მის დაბლა ჩამოვედით. ბრწყინავს ჩამავალი მზე, თვალწინ ისევ ის წარმტაცი სურათია. ჩემი ჰაერწნევზომი (ანეროიდი) მაჩვენებს, რომ ჩასასვლელ გზის ორი მესამედი კიდევ წიხა გვაქვს. ვჩქარობთ, მაგრამ გზაში მაინც გვიღამდება, სიბნელეში კი სიარული ძნელია. ამ ბალახიან დიდ დაღმართზე აჩქარებულები პირდაპირ ცურვით მივდივართ. გოგი ტოროშელიძეს შარვალი მთლად გაუცვდა, იძულებული გახდა ხალათი შარვლის მაგივრად ჩაეცვა და ფეხები სახელოებში გაეყარა. წერაყინები მთელი გზის განმავლობაში ძალიან გვეხმარებოდნენ. უწერაყინოდ ასვლაც და ჩამოსვლაც დიდად გაგვიძნელდებოდა. ქვევით დარჩენილი ჩვენი ძმები და დები ჩვენ საძებნელად წამოსულიყვნენ. ქვევიდანვე ელნათურით გზის გეზს გვანიშნებდნენ. შემდეგ, ალმართის ერთ მესამედზე დაგვხვდნენ ცირები: ვერა, სალომე, თამარა და მათთან ატოც; ქვევით კი, მთის ძირას, ყველა დანარჩენები. თურმე ისინი ჩვენ დაგვიახლებას შეუშინებია. ვილაც სოფლელს უთქვამს, რომ ჩვენი ერთ-ერთი ქალთაგანი კლდეზე გადაჩეხილაო. საღამოს $9^1/_2$ საათი იყო, როცა მთელი დღის უპმელები ბინაზე დავბრუნდით.

სანამ ჩვენ შინოს-წვერზე ვიყავით, არც სხვები ჰკარგავდნენ დროს: ვანიჩკა გველეთში წასუ-

ლიყო, სანდრო კილაძე წრიაპებზე ზრუნავდა და მზიდველებს ეძებდა; დანარჩენები არე-მარეს ეცნობოდნენ. თავის დღიურში ატო აღნიაშვილი ასე აღწერს იმ დღეს:

„25 მარიამობისთვეს ხუთი უფროსი „და" და, „ძმები": გიორგი, პავლე რომანკევიჩი და გოგი ტოროშელიძე შინოს-წვერისაკენ წავიდნენ. ისინი, ვინც წინა დღეს იქ ვერ ავიდნენ, დასცინოდნენ და ამბობდნენ, რომ მთის ძირამდეტ კი ვერ მიხვალთო. ჩვენ იმათ ასვლას დურბინდით ვუცქეროდით. მართლაც, პატარა მანძილი გაიარეს თუ არა, სისწრაფეს უკლეს ჩვენების სასიხარულოთ, მთის ძირში გაჩერდნენ შესასვენებლად. მერე ისევ განაგრძეს გზა. დიდხანს ვადევნებდით თვალს, მაგრამ ბოლოს დაგვეკარგნენ მხედველობიდან. სანამ ისინი მოგზაურობდნენ, არც ჩვენ ვიყავით უსაქმოდ. ზოგი ტვირთმატარით გველეთ'ში წავიდა, ზოგი თერგზე საბანაოდ; მეც მათ წავყევი; წყალი ყინულივით ცივი იყო, მაგრამ ბანაობა მაინც სასიამოვნო; და მზესაც ვეცხუნებოდით. ჩვენთან სოფელ გერგეთის სკოლის მასწავლებელი მოვიდა, დასავლეთ საქართველოს მცხოვრები; როგორც იმ მხრის მცხოვრებმა, ლაპარაკის მოყვარულობა გამოიჩინა. იმან გვიამბო რამოდენიმე მოხევური თქმულება, რამაც ჩვენ ძალიან დაგვაინტერესა.

პირველი თქმულება.

მყინვარ-წვერის აღმოსავლეთ ფერდობზე შავი კლდეებია, ამ კლდეების მოყვანილობა პირლიბ გველეშაპს ჰგავს, და, აი როგორ ხსნის ხალხი გველეშაპის იქ გაჩენას: როცა ამირან გმირი თავის საგმირო საქმეებმა გაათავხედეს, მან მოინდომა ქრისტე ღმერთთან შეჯიბრება. მაშინ განრისხებულმა ღმერთმა სასჯელად ამირანი მიწაზე მიაჯაჭვა და ზედ გერგეთის მთა დაადგა. ამით ისარგებლა ამირანის უდიდესმა მტერმა — გველეშაპმა, რომელიც იმ დროს მყინვარ-წვერზე იჯდა. „აქამდის თუ ვერ ვერეოდი, ეხლა დაბმულს მოვერევიო", — სთქვა მან და, ამირანის შეჭმის განზრახვით, ქვევით ჩამოცოცდა. ეს ამბავი წმინდა გიორგიმ გაიგო, სწრაფ იქ გაჩნდა, გველეშაპს თითი დაუქნია და უთხრა: „ციც! ამირანი ცოდვების მოსანანიებლად დავაბით, და არა შენს გასაძღომად. გაქვავდი მანდ!" ეხლაც უძრავადაა გაქვავებული გველეშაპი.

მეორე თქმულება.

იყო ერთი მოხევე, რომელსაც ნადირობა უყვარდა. სულ მთელ თავის სიცოცხლეს ნადირობაში ატარებდა, და სხვა არა უნდოდა რა. ჰყავდა მას ცოლი. მონადირე თითქმის მთელი წელიწადის განმავლობაში შინ არ მოდიოდა. ცოლი უქმროდ იტანჯებოდა და, როცა ძალიან გაუძნელდებოდა,

თითონ მიდიოდა ქმართან ტყეში. ერთ-ერთ ასეთ მოგზაურობის დროს ამ ქალს მოეწონა ერთი ბერი. როცა ქმართან მივიდა, შეადარა ქმარი ნახულ ბერს, ქმარი აღარ ინდომა და ბერის ყინი ჩაუვარდა. სულ ამ ბერზე ფიქრობდა. ბოლოს ასეთი ოინით მოატყუა ქმარი: თავი მოიავადმყოფა და თავის ქმარს ასე უთხრა: ჩემი სნეულება ამა და ამ ტაძრის მიზეზია; დაასახელა იმ ბერის მონასტერი (თუ არ ვცდები, ბეთლემი) და იქ რამოდენიმე დღით სალოცავად მოინდომა წასვლა. ქმარმა დაუჯერა. აიკიდეს ცოლ-ქმარმა შესაწირავი და გაუდგნენ გზას. როცა მონასტერს მიუახლოვდნენ, ცოლს გაახსენდა, რომ სახლში წმინდა სანთელი დავიწყებოდა და ქმარი უკან დააბრუნა სანთლის მოსატანად. თურმე სანთელი განგებ დაეტოვებინა სახლში. ქმარი უკან გატრიალდა. ცოლი კი მარტო მიუახლოვდა მონასტერს. ამ დროს ასტყდა საშინელი ქარიშხალი, ელვა-ჭექა. ქალმა კივილი მორთო, მიშველეთო. ბერებმა შეიბრალეს, ჯაჭვი ჩაუგდეს და ამოიყვანეს. ქალმა ისე მოახერხა, რომ სწორედ იმ ბერის სენაკში დააწვინეს, როგორც ავადმყოფი. ბერი მაინც და მაინც დიდხანს არ ებრძოლა ლამაზ ქალის მაცდურობას. ქალმა შეაცდინა. ქმარს ავდრის გამო ძალიან დააგვიანდა, ისე, რომ, ქალმა მთელი ღამე, ლოცვის მაგიერ, ცოდვებში გაათენა. ამინდი კი თანდათან უარესდებოდა; ჭექა-ქუხილი საშინელ ხმას იძლეოდა. ასეთი ავდარი არავის ახსოვდა თავის დღეში. დილაზე გამოიდარა. ბერები გარეულ გამოვიდნენ, რომ ქალის

ქმარი ამოეყვანათ. მათ გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა თვალ წინ თოვლით დაფარული უზარმაზარი მთა დაინახეს, რომელიც იმ ღამით ამართულიყო. ეს მთა მყინვარ-წვერი იყო, ღმერთის მიერ, იმ ღამის ცოდვის აღსანიშნავად და დასასჯელად, აყუდებული.

ეს თქმულება არის ერთ-ერთი ვარიანტი, რომლითაც ილია ჭავჭავაძემ ისარგებლა თავის განდეგილისათვის. გვიამბო კიდევ ერთი თქმულება: ის ეხება განსხვავებას დედისა და სატრფოს სიყვარულს შორის (მოხევეების თვალსაზრისით).

მესამე თქმულება.

იყო ერთი მონადირე, რომელსაც სატრფო ჰყავდა. ერთხელ, ნადირობის დროს, მონადირე ჩავარდა ხევში. ის უეჭველად დაიღუპებოდა, რომ ბანდულის ძირის ამონაქსოვი თასმა ბუჩქს არ მოსდებოდა. დაეკიდა ჩვენი მონადირე თავდაღმა, უფსკრულზე. მონადირე არ დაიბნა, დაუძახა თავის ძაღლს, რომელიც იმ ალაგს არ შორდებოდა, საიდანაც მონადირე ჩავარდა: „წადი სოფელში, ჩუმად, არავის არაფერი შეატყობინო, არც დედა ჩემს, არც სხვას, მიდი პირდაპირ ჩემ სატრფოსთან და ჩემი მდგომარეობა შეატყობინეო". ამით მას სატრფოს სიყვარულის გამოცდა უნდოდა. ძაღლს თავისი პატრონის სატრფო თავიდანვე არ უყვარდა. ამიტომ არ ენდო მას და, მასთან ამბის მიტანის შემდეგ, მონადირის დედასაც შეატყობინა.

დედამ, ამბის გაგებისთანავე, ხალხი შეჰყარა და შვილის გადასარჩენად გაიქცა. დიდხანს ვერ მოეხერხებინათ თოკის ისე ჩაგდება, რომ უძრავად მყოფ მონადირეს ის ხელში ჩავარდნოდა. აი, როცა ასეთ ცდაშია ყველა, მხოლოდ მაშინ მოვიდა მისი სატრფო. რაც მეტი დრო გადიოდა, მონადირის მდგომარეობა უფრო და უფრო საშიში ხდებოდა, რადგან სიმძიმისაგან ღვედი იჭიმებოდა და ყოველ წუთს შესაძლებელი იყო მისი გაწყვეტა. სატრფოს აუხსნეს მდგომარეობის სირთულე. მან ყური არ ათხოვა, გამოართვა თოკი და ჩასძახა მონადირეს: „თოკს ჩამოგიგდებო, შენ შეინძერი, ღვედი გაწყდება, თოკს ხელი სტაცე და ამოგიყვანო". ხალხი უშლიდა, ნუ იზამ შაგას, დაღუპავო, მაგრამ მან არავის დაუჯერა. მონადირე კი ეხდო სატრფოს, შეინძრა, ღვედი გაწყდა; მონადირემ თოკის დაჭერა ვერ მოასწრო და უფსკრულში ჩაიჩეხა. გამწარებულმა დედამ ერთი შეჰკივლა და შვილს გადაჰყვა... როცა გაშეშებული ხალხი გონს მოვიდა, დაინახეს, რომ დაღუპულ მონადირის სატრფო იქვე იმ ადგილას, საიდანაც მონადირე გადავარდა, ვიღაც ახალგაზრდა ბიჭს ეხვეოდა".

4. სტეფან-წმინდიდან შევარდენის გუდამდე.

მეორე დღეს (27 მარტიამობისთვეს) ჩვენ გველეთისაკენ მივემგზავრებოდით, წვიმაპები მაინც დაგვაკლდა, მაგრამ იმედი გვქონდა, გველეთ'ში ვი-

შოვიდით. დილას ჩვეულებრივ ადრე ავდექით, გამოვყავით ის ბარგი, რომელიც ასვლის დროს არ გვჭირდებოდა. სხვათა შორის ის დიდი თოკები, რომელთაც გამყოლი იაგორა ასე მწარედ დასცინოდა. საათის ათზე ვისაუზმეთ რესტორანში. აქვე ჩვენმა დებმა თავისუფალი ვარჯიში შეასრულეს, რაც იქაურებს ეუცხოვათ და თანაც მოეწონათ. შემდეგ ჩავსხედით ტვირთმატარში. თუ ტფილისიდან ვერ ვეტეოდით, ეხლა 18 კაცი ძზიდველები კიდევ მოგვემატა. არ ვიცი, როგორ ჩავეტიეთ. ზოგი ცალ ფეხზე იდგა; ზოგი კიდევ ცალხელზე ეკიდა. ასე გადავიღეთ სურათი და გველეთისაკენ გავემგზავრეთ. გზაში პრეობრაჟენსკის ქალი[1] შეგვხვდა თავისი ექსკურსიით. ტვირთმატარი გავაჩერეთ, ჩამოვხტით და პრეობრაჟენსკის ქალს პატივისცემით მივესალმეთ. იგი დაბალი, თმა ჭაღარა და სუსტი აგებულობის ქალი ყოფილა. ძოხუცია, მაგრამ თვალები ახალგაზრდულად უბრწყინავს. ჩვენ დებსავით შარვლით იყო. ტიტველა ფეხზე წუღა ეცვა. ჩვენი მოზარდები და ქალები რომ დაინახა, სიცილი დაიწყო: „ტყუილად ხუ ეცდებით: ამოდენა ხალხის ერთად ძწვერვალზედ ასვლა ვის გაუგია, მერე ყოველ ქალს, ორი, ან ერთი გამყოლი მაინც უნდა ახლდეს, რომ ძნელ ადგილებზე ეხმარებოდნენ. თქვენისთანა ბავშვე-

---

[1] მარიამ პაელეს ას. პრეობრაჟენსკაია (1863 — 1952) — რუსი გეოგრაფი, რომელიც მეცნიერული მიზნით კავკასიონის რამდენიმე მწვერვალზე იყო ნამყოფი.

ბი იქ სულ ვერ ავლენ". ჩვენებმა ეს სიტყვები ძლიერ იხარეს; პოეობრაჟენსკის ცივად გაბოვესალმეთ და ჩვენ გზას გავუდექით. ბალე ხიდს გავსცდით და გველეთში ჩავედით. სოფელი გველეთი სულ 6-7 კომლისაგან შესდგება. აქ დიდხანს დავრჩით, რადგან ტვირთის მზიდველები ყოველნაირ ხერხს ხმარობდნენ, რომ, რაც შეიძლება ნაკლები ბარგი აეკიდათ. მავალის (აეტომობილი) სალტეები და ზედმეტი ბარგი (რომელიც ძაუგ'ში დაგვჭირდებოდა) იქვე სოფელში, ცნობილ შუსა ბეზურთანოვთან დავტოვეთ. მასვე გამოვართვით რამდენიმე წყვილი წრიაპი, რომელიც დაგვაკლდა.

დევდარაკის გზას გავუდექით, გარდა რამოდენიმე ძმისა, რათა მზიდველების ბიერ დატოვებული ბარგი ცხენით ამოეტანათ. ეხლა ჩვენ სამი გამყოლი მიგვიძღვება, რადგან იაგორ კაზალიკაშვილს და ლევან უშაშვილს გველეთელი ქისტი, აბზი ბეზურთანოვი, მივუმატეთ. გარდა ამისა, ჩვენ ვილაც სტავროპოლელი ახალგაზრდა რუსი შემოგვიერთდა. ეს უცნაური ადამიანი ქალაქ სტავროპოლის ერთ-ერთ დაწესებულების მოხელე ყოფილა. ის ვილაცას დანაძლევებია, რომ მყინვარ-წვერზე ავა. ნაძლევი იმაში მდგომარეობდა, რომ მოგებულს წაგებულის ხარჯზე სამი დღე უნდა ექეიფა სტავროპოლის ყველა რესტორანებში, ეს კაცი სრულიად მოუმზადებელი ჩამოსულიყო. არ ვიცი, ამ სიშორეს რის იმედით მოდიოდა: უჩვენოთ ის ვერ ავიდოდა, ჩვენი შეხვედრის იმედი ხომ არ უნდა ჰქონოდა? ჩვენი გადაწყვეტილებით

იმათ, ვინც არ აპირებდა მყინვარ-წვერზე ასვლას, თავისი ბარგი თითონ უნდა ეტარებინა; ჩვენ კი, ვინც ასვლას ვაპირებდით, მხოლოდ წერაყინის ამარა მივდიოდით, რომ ძალ-ღონე მყინვარ-წვერისთვის გამოგვეზოგა.

„ცირებს", სწერს ატო ალნიაშვილი თავის დღიურში: „ჩემი დახმარება არ უნდოდათ, მაგრამ ცოტ-ცოტა ბარგს ვუზიდავდი, გარდა ვერასი, რომელიც არ დამთანხმდა დახმარებაზე: თანაც გიორგი მიკრძალავდა: „მიეჩვიონო და შენც არ დაიღალოვო".

„დევდარაკის მყინვარამდე", განაგრძნობს ატო: „კარგი ბილიკი არის რომელზედაც ცხენიც კი გავლის; მხოლოდ ადგილ-ადგილ წვიმას ჩაურეცხია. ეს ბილიკი გაყვანილია იმ დროს, როდესაც იქიდან სპილენძის მადანს იღებდნენ. უმრავლესობა ამ დაკლაკნილ გზას დაადგა; გიორგიმ და ცირებმა კი ირჩიეს ამ ბილიკის გადამჭრელი ფერდობები და უგზო-უკვლოდ, თხებივით მიდიოდნენ და ქოლოს ჭამდნენ. პატარა ხანს მეც მივდევდი, მაგრამ მომწყინდა კისრის ტეხა და ბილიკს დავადექი. მზიდველები და წინ წასულები სხვებზე ადრე მივედით დევდარაკის თავშესაფართან, რომელსაც ეხლა „ტბა-წყარო" ეწოდება. იქ დიდხანს ვუცადეთ დანარჩენებს და, ბოლოს, ყველა შევგროვდით. შიმშილის გამო იქ გვინდოდა დაბინავება, მაგრამ გამყოლებმა და გიორგიმ კვლავ გაგვაგრძელებინეს გზა მეორე შენობის ნანგრევამდე, სადაც უწინ სპილენძის მადნის მომუშავეთა კახტორი ყოფილა; ეხლა, პირველ ქართულ სამეცნიერო ექსპე-

დიციის სამახსოვროდ, „დ ი დ ე ბ უ ლ ი ძ ი ს ნ ა-
ბ ი ნ ა ვ ა რ ი“ ეწოდება.

საღამო იყო. უზარმაზარ კლდოვან მთებში მო-
მწყვდეული დევდარაკის ყინვარი თვალ წინ წარ-
მოგვიდგა. მისი დახეთქილი და ხრეშით მოსილი
ნაპრალები მრისხანების და შეუპოვრობის შთა-
ბეჭდილებას სტოვებენ:

„უკვე დაღამდა“, მოგვითხრობს მარო ბექა-
ნიშვილი თავის დღიურში: „მთებიდან ღრუბლები
თანდათან დაბლა ჩამოწვა და თითქმის თავზე გა-
დაგვეფარა. დრო-და-დრო მოისმოდა ყინულის ჭა-
ხუნი, ზვავის გრიალი და მთების ყრუ გამოძახი-
ლი. ყოველი ასეთი გრიალი ჩვენში შიშის ზარს
იწვევდა. ადამიანი ხომ მეფეა დედამიწის ზურგ-
ზე. რა ძლიერია ბუნება, რა პატარა და სუსტია
ადამიანი მასთან შედარებით, მაგრამ თითქმის მი-
სი ბატონიც კი გახდა; დაიმორჩილა მრავალი აუ-
ვალი, მაღალი მთები, ზღვა და ცა“.

თუმცა საერთოდ დაღლილობას ვგრძნობდით,
მაგრამ კომისიები მაინც შეუდგნენ თავ-თავიანთ
საქმეებს. კარვების კომისია, ბებას[1] მეთაურობით,
კარვების დადგმას შეუდგა, სურსათის კომისია თა-
ვის საქმეს. გველეთიდან ჩვენ უკვე „მთასვლურ“
სურსათზე გადავედით: პურის მაგივრად ტკბილ
ნაბმს გვირიგებდნენ, კონსერვებს, ქონს და დაყუ-

---

[1] ექსპედიციის წევრის, შემდგომში ცნობილი ქართვე-
ლი რეჟისორის, იოსებ მიხეილის ძე თუმანიშვილის (1909—
1981) მეტსახელი იყო.

ტსულ რძეს. ეს ყველაფერი, გარდა ქონისა, ჯერ-ჯერობით ძალიან მოგვწონდა, მაგრამ მალე ისე მოგვბეზრდა, რომ დასანახავადაც კი გვეჯავრებოდა.

ბალოები გვაკლდა და ამიტომ კარვების დადგმაზე ბევრი ვეწვალეთ. ამოდენა ხალხი ორ კარავში ძალიან ძნელად თავსდებოდა. მცირე კარავი მზიდველებს დაუთმეთ და იმათთან რამდენიმე ჩვენი ძმაც მოეწყო. კარავში ჯერ დები შეუშვით, მაგრამ ისინი ისე მოეწყვნენ, რომ კარავში ადგილი აღარ დარჩა. დები კი იძახდნენ, ძალიან მშიდროთა ვართო. მაშინ მე შევედი და ისინი ისე მშიდროთ „დავალაგე", რომ ნახევარი კარავი განთავისუფლდა; ძმები იქ მოთავსდნენ, ვინ იცის, როგორ: ერთის ფეხები მეორის თავზე იდო; ზოგს ფეხები კარავის ბოძზე ჰქონდა აყუდებული. ამ დროს ატო შემოვიდა და გამახსენა, რომ სურსათი გარეთ რჩება და ნახმი დანოტიოვდებაო. ეხლა ეს გაგვიჩნდა სადარდებლად. ის ოთხი დიდი ტომარა, რომელშიაც ნახმი ელაგა, კარავში შესატანი გაგვიხდა. ბევრი ვეწვალეთ და ბოლოს იმ ტომრებიდან კარავში მაღალი კოშკი ავაშენეთ, ისე რომ სულ ცოტა ადგილი დაიკავა. გარეთ მზიდველ მოხევეებს უშველებელი ცეცხლი ენთოთ. ნანგრევებში ბევრი შეშა მოიპოვებოდა, და, აბა რა ენაღვლებოდათ; მოათრიეს დიდი ბოძები, ფიცრები და სწვავდნენ. მთელი ღამე მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ხმაურობდნენ; ჩვენებსაც არ ეძინებოდათ. მე მთელი ღამის განმავლობაში თვალი არ

მომიხუჭავს: მყინვარ-წვერის ფიქრები არ შასვენებდა.

დილა ადრიან ავდექით: შორს ფერდობზე ჯიხვების ჯოგი დავინახეთ. შორიდგან თოფის ხმაც მოგვესმა. თურმე ჩვენი გამყოლი ლევან ქუშაშვილი ღამე სანადიროთ წასულიყო, და, მოხევეების აზრით, ლევანი გაისროდა თოფს და უსათუოდ ჯიხვსაც მოჰკლავდა. რადგან შესანიშნავ მონადირეთ ითვლება. (ეს ასეც გამოდგა; ჩვენი უკან დაბრუნების დროს, ჯიხვის ხორციც ვიგემეთ).

კარვები მოვხსენით და დავიწყეთ ბარგის განაწილება მზიდველთა შორის. მზიდველებმა წინა დღეზე ნაკლები ტვირთი აიკიდეს და წინ წავიდნენ, ამიტომ ბევრი ბარგი დაგვრჩა და იძულებული ვიყავით ის ბარგი, რომელიც ძალიან გვჭირდებოდა, ჩვენ თითონვე . გვეზიდა; ნაწილი იქვე დავტოვეთ და დარაჯებიც მიუყენეთ, მზიდველების უკან დაბრუნებამდე. გარდა ამისა, ყველას მოგვქონდა დიდი კარვის თითო ჯოხი, რაც სიარულს ძალიან გვიშლიდა.

გავემგზავრეთ შ ე ვ ა რ დ ე ნ ი ს ბ უ დ ი ს კ ე ნ, რომელიც მაღლა ბართკორდის კბილებიან ქედის წვერზე სდგას 3660 მეტრის სიმაღლეზე. ჯერ დევდარაკის ყინვარი უნდა გადაგვევლო. გადასვლა ადვილია, მაგრამ საშიში; ნაპრალები ხშირია და ღრმა. ძირს კი მღვრიე წყალი მიშხუის: ყინული ძალიან ლამაზია, მოცისფრო. შემდეგ „შალალის" უზარმაზარ ქვანაყარს აუარეთ და აღმართს შეუდექით. 60 მენაკზე აღმართული კლდოვანი გზა

ძლიერ ძნელია, მაგრამ ჩვენ მოვარჯიშეებს ეს არაფრად მიგვაჩნია. ჩვენი დებიც მეტად ყოჩაღად მოდიან. ბათუმელი ძმა ატო აღნიაშვილი, რომელიც ჩვენში ახალი კაცია, ასე სწერს თავის დღიურში:

„მაღლე დებმა გამასწრეს: მე უკან დავედევნე; მართალია, ჩემ თავს მთელ ძალას არ ვატანდი, მაგრამ ძალიან ვცდილობდი დაწევას, მიუხედავათ ამისა, მაინც ვერ გავასწარი. ტფილისელ დების სიარულს პირველად ვხედავდი და, უხდა გითხრათ, კარგად დადიან. ამ საქმეში იმდენათ გაწვრთნილნი არიან, რომ ბათუმელი დები სულ ვერ შეედრებიან. ბათუმელი ქალები კი არა, ამათ წინ მეც ქედი უნდა მოვიხარო. ქალების ასეთი სიარული მარტო მე კი არ მიკვირდა, მოხეველებიც აქებდნენ“.

დაახლოვებით შუა გზაზე უკანასკნელ მცენარეულობას გამოვესალმეთ. აქ დიდხანს შევჩერდით, რადგან ბანდულებისთვის ბალახი უნდა მოგვეკრიფა. ეს განსაკუთრებული ბალახია, რომელსაც მოხეველები ბანდულებში ჩასავებად ხმაროben. ბალახი ძალიან მაგარია; მისი ხელით მოგლეჯა ძნელია, რადგან ხელს სჭრის, ხოლო, როგორც იაგორამ აგვიხსნა, დანით მოჭრილი ბალახი აღარ ვარგა, რადგანაც მოკლეა. ბალახის კრეფაზე ძალიან ვიწვალეთ. ბოლოს ისევ აღმართს შეუდექით. ახლა სიარული გვიხდება პიტალო კლდეებზე; გზა სულ არ არსებობს. გამყოლებმა მიმართულება ზეპირად იციან; ალაგ-ალაგ გვხვდება რამოდე-

ნიმე ერთმანეთზე დაწყობილი ქვები, ან კლდეზე აღნიშნული ისარი. ასეთ ნიშნებს გამყოლები გზა-და-გზა ასწორებდნენ და ახლებსაც უმატებდნენ. ეს ცოცვა კლდეებზე ვარჯიშს წააგავდა და ძალიან გვახალისებდა. ამ კლდოვანს გზას ასე აგვიწერს მარო ბეჟანიშვილი:

„ჩემი აზრით, ეს გზა უფრო ძნელია და გახსაკუთრებით საბრთხილო, ვიდრე თვით მყინვარის წოწის (კონუსის) გზა. ერთი ბეწვა გაუფრთხილებლობა, ოდნავ უხეშათ გადადგმული ბიჯი წინ მოსიარულეთა, დაღუპვას უქადის დანარჩენებს. ხშირად გვხვდება რალაცა გინგებით შეჩერებული უზარმაზარი კლდე. თუმცა დიდი სიფრთხილით მივდივართ, მაგრამ დრო და დრო მაინც მოისმის ქვის ხრიალი და ყვირილი: „ფრთხილათ, ქვა მოდის!“ ყველა შეშინებული და თვალებ დაჭყეტილი იყურება ზევით, რათა ქვას თავის დროზე აუქციოს გზა. მალ-მალე გვესმის საშინელი ხრიალი, ხევების ყრუ გამოძახილი. დიდი კლდე მოწყვეტილა და, ვინ იცის, რომელ უფსკრულში ჩაგორდება. ზოგან ისეთი კლდეები გვხვდება, რომ ერთმანეთს ვეხმარებით და ისე გადავდივართ. ალაგ-ალაგ მარჯვნივ და მარცხნივ მაღალი პიტალო კლდეებია. ჩვენ კი მათ შორის ამართულ პატარ-პატარა კლდეებზე მივცოცავთ. ზოგი ჩვენი მოძრაობა ტანვარჯიშის კიდში ვარჯიშს მოგვაგონებს; უმეტესად კი ბჯენში ვარჯიშს, რადგან ხშირად გვიხდება ორ გამოწეულ კლდეზე დაბჯენა და ფეხების ზევით გადაქნევა. ყოველივე ის ჩვენ ძა-

ლიან გვსიამოვნებს და გვეხალისება. ისედაც ძნელ გზას უფრო ვიძნელებთ და ვცდილობთ, რაც შეიძლება დიდ და ძნელ კლდეზე ავცოცდეთ. იაგორას არ მოსწონს ჩვენი ასეთი უგზო სიარული და ხშირად გვესმის მისი ხმა: „მანდეთ ნუ მიდიხარ, ქალაუ! გონჯი გზაა და დაიღუპები". ან კიდევ ჩვენი ტვირთის მზიდავების ერთმანეთისადმი მიმართვა: „შენაი ჭირაიმე, ესენი თხები ყოფილან, თხები".

პირველ საათზე შევარდენის ბუდეს მივაღწიეთ; ზოგი კი ბევრად ადრე მისულიყო, მაგალითად, მარო ტყავაძე — 11 საათზე და 15 წუთზე. ზოგმა ძალიან დაიგვიანა. სამ საათზე მეტი იყო, როდესაც სულ უკანასკნელები ამოვიდნენ. ესენი იყვნენ თამარ ხუციშვილი, თამარ ჩიჯავაძე, და მათ ბება თუმანიშვილი ამოჰყვა. თამარ ჩიჯავაძეს ამოსვლა გასძნელებია. რომ ამოვიდა, თავს ცუდათ გრძნობდა: დასაშშვიდებლად ვალერიანის წვეთები დასჭიდა. მაგრამ ისიც მალე მობრუნდა და შემდეგ თავს შშვენივრად გრძნობდა. ხუმრობა კი არ იყო სკოლის პატივცემულ გამგისათვის ასეთ პირობებში დაუხმარებლივ ამოსვლა. მართალია, ევროპაში დარბაისელი ქალის ამ გვარი მოგზაურობა არავის გააკვირვებდა, მაგრამ ქართველი ქალისთვის ეს სასახელოა. ამ მხრივ ჩიჯავაძის ქალმა შეუდარებლათ წინ წაიწია. რამოდენიმე თვის წინეთ კი ერთ-ერთ გაფრენზე მას წყნეთის ალმართზედ ასვლა გაუჭირდა, ეხლა აქაც ამოვიდა და მყინვარ-წვერზე ასვლასაც ლა-

მობდა, რაზედაც მკაცრ უარს ვეუბნებოდი. აღსანიშნავია აგრეთვე ჩვენი ცირების და პავლიკ რომანკევიჩის სიყოჩაღე, რადგან, დადებულ პირობის თანახმად, თავიანთი ბარგი თითონ ამოიტანეს.

5. „შევარდენის ბუდე".

შევარდენის ბუდე მეტად ვიწრო სერია, ორივე მხრივ ციცაბო კლდეებით შემოზღუდული, ერთი მხრით დევდარაკისაკენ, მეორე მხრით ჩათას მყინვარისაკენ, ხოლო ზედ სერზე ცოტა მოშანდაკებული ბაქანია; იმოდენა, რომ ჩვენი დიდი კარავი ზედ ძლივს ეტეოდა. ცოტა მოშორებით თვით ქოხი სდგას, რომელსაც რუსები ერმოლოვის ქოხს უწოდებენ. ეს ქოხი ათი წლის წინათ მშვენივრათ ყოფილა შეკეთებული და რკინით გადახურული. ეხლა კი მხოლოდ კედლები და ფიცრული ჭერი-ღა დარჩენილა. ამ ქოხის ბანზე მეორე კარავი გადავაფარეთ და მშვენიერი ორ სართულიანი ბინა გაშოვიდა. ამ ქოხში და დიდ კარავში ყველანი კარგად მოვთავსდით.

შევარდენის ბუდიდან ყოველმხრივ მშვენიერი გადასახედია; მაგრამ თვით მყინვარ-წვერისკენ კი შეუდარებელი. თვალწინ იშლება დევდარაკის ყინვარი, დასაწყისში, ზევით, თითქმის შვეული, სულ დახეთქილ-დასერილი; ქვევით კი, სამი კილომეტრის სიღრმეზე, ვიწრო ხევში ჩამალული. დევდარაკის ყინვარის ზემოთ ამაყად ამართული

ზით გაბრწყინებული მყინვარ-წვერი. ჩვენ მას გულის კანკალით შევსცქეროდით. ის არის ჩვენი სურვილების საზღვარი. ხვალ გადასწყდება, ვიხილავთ ჩვენ ამ საზღვარს, თუ ვერა...

შევარდენის ბუდეზე, ქოხში თუხუქის ფურცელზე რუსული წარწერა დაგვხვდა, სადაც ეწერა, რომ საქართველოს პროფკავშირების ექსპედიცია, რომელშიაც ორი ქართველი ქალი — რამიშვილი და მათითაიშვილი მონაწილეობდნენ, გამყოლ გახა წიკლაურის წინამძღოლობით, გაემგზავრა მყინვარ-წვერისკენ, ამა წლის ივლისს (რიცხვი არ მახსოვს), მაგრამ დიდი თოვლის და ქარის გამო, მიზანს ვერ მიაღწია და უკან დაბრუნდა. მწვერვალამდე 800 მეტრი დააკლდათ. ჩვენ ამ წარწერამ საგონებელში ჩაგვაგდო: თოვლი დიდია, გზა ძნელი, ვაი, თუ ჩვენც გაგვიჭირდეს... მაგრამ ასმათი ავიდა ფიცრულზე და ქიმიურ ფანქრით ჭერზე წააწერა: „მოვარჯიშენი, მათ შორის ხუთი და, მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებისა, 28 მარიამობისთვეს ავედით მყინვარ-წვერზე და ამით თავი ვისახელეთ“. ეს წარწერა დახევის საშვალებას 'გვისპობდა და გვაიძულებდა მის გასამართლებლად ყოველი ღონისძიება გვეხმარა, რათა წასაშლელი არ გაგვხდომოდა.

შევარდენის ბუდე მუდმივი თოვლის ხაზზეა. ეგრედ წოდებული თოვლყინულა ანუ ფირნი იქ ბევრი მოიპოვება. თოვლ-ყინულა იგივე თოვლია, მაგრამ მრავალჯერ მზეზე დამდნარი და ღამე ისევ გაყინული, ამიტომ ის თან-შეყინულ თოვლის და

ყინულის მარცვლებს წარმოადგენს. დასალევათ იმას ვადნობდით, რადგან წყარო ჩათის მხარეს დაბლა იყო, ძლიერ დაქანებულ ფერდობზე, ნაყარ ქვებში ჩამალული. იქიდან წყლის ამოტანა ჩვენებმა ვერ შესძლეს, თუმცა ბევრჯელ სცადეს. ცეცხლი დავანთეთ, პრიმუსები ავაბუშავეთ და თოვლს ვადნობდით. მე განკარგულება მივეცი, რომ ყველა, ვინც მყინვარ-წვერზე ადის, იმავ საღამოს მომზადებულიყო; ტანსაცმელი და გახსაკუთრებით ბანდულები იმ საღამოსვე ჩაეცვათ და, სამგზავროთ გამოწყობილები დაწოლილიყვნენ, რადგან გათენებამდე უკვე გზას უნდა გავდგომოდით. ერთ აწერილობაში მქონდა წაკითხული, რომ, ბანდულების ჩაცმის გულისათვის დილის ნახევარი საათი დაიგვიანეს, მართლაც, ბანდულების ჩაცმა ძალიან გაგვიძნელდა. ბალახსაც სულ სხვანაირად უნდოდა ჩაგება. ხან ცოტა იყო ბალახი და ფეხი ფამფალებდა, ხან კი ფეხი აღარ ეტეოდა ბანდულში. მერე წრიაპების გაკეთებასაც დიდხანს ვსწავლობდით. იაგორამ გვითხრა, რომ, თუ ყინვაში წრიაპები ფეხიდან მოგეხსნათ, ძალიან გაგიჭირდებათ, რადგან გაყინული ხელით ველარ შეიკრავთო. ბანდულები რომ ფეხებზე ჩავიცვით, სიარული ვცადეთ და ძალიან მოგვეწონა. ფეხი თბილად და რბილად არის. როგორ შეედრება მას ტლანქი შვეიცარული რკინის ლურსმებიანი ფეხსაცმელები; თითო 7 გირვანქამდე იწონის. ასეთი ფეხსაცმელები მეცვა შინოს-წვერზე ასვლისას საცდელად, მაგრამ გზაში ამ სიმძიმეების ფეხებზე ტა-

ტება ისე მეუცხოვა, რომ გავიძრე და სრულიად ფეხშიშველა ვიარე და წვეტიან ქვაზე ფეხიც გავიფუჭე. ეხლა კი ამ ბანდულებს ვუყურებდი და ვფიქრობდი: „რა კარგი რამეა, და ევროპელებს კი ვერ მოუფიქრებიათ“.

ფოია მაჭავარიანი ცუდ გუნებაზეა: მისი ბალახი, რომელიც ფანჯარაზედ იდო, ვიღაცას აუღია. ფოია უბალახოდ დარჩა და გაძომიცხადა, რომ ხვალ მყინვარ-წვერზე აღარ წამოვალო. ბოლოს კი როგორღაც მოეწყო; მე ამას, სამწუხაროთ, საკმაო ყურადღება არ მივაქციე მაშინ და ამის გამო მეორე დღეს ჩვენი მიზანი, კინალამ, მიუღწეველი დარჩა.

საღამოს 9 საათზე ყველაფერი ზზად გვქონდა და დავწექით დასაძინებლად. დანარჩენი უმცროსი დები და ძმები, რომელნიც მცირე წლოვანობის გამო მყინვარ-წვერზე ვერ მიდიოდენ, რადგან იქ ჰაერი ძალიან თხელია და შესაძლებელია ფილტვებიდან სისხლი ამოუვიდეთ. მიუხედავათ დაღლილობისა, გულმოდგინეთ შეუდგნენ თავიანთ საქმეებს. მთელი ღამე იმუშავეს. ბება და პავლიკა თოვლს ზიდავდნენ, სალომე და ვერა პრიმუსებზე ადნობდნენ და ყავას ხარშავდნენ; თამრო კი მათარებში ანაწილებდა. ყავა საგანგებოთ ნამდვილი მოკა[1] იყო. ძალიან მაგარი ყავა უნდა მოეხარშათ. ნავთის უსუფთაობის გამო,

---

[1] იგულისხმება ყავის ერთ-ერთი საუკეთესო ჯიში — „მოკა“.

პრიმუსები მალ-მალ ფუჭდებოდნენ და მუშაობა ძალიან ძნელი იყო. მიუხედავად ამისა, ყველაფერი მოემზადებინათ: სურსათი გაენაწილებინათ, ჩანთებში ჩაელაგებინათ. თითოს უხდა წამოეღო: 1½ გირვანქა ნახმი, გირვანქის ერთი მერვედი — ქონი, გირვანქის ერთი მერვედი — შოკოლადი, ¼ გირვანქა შაქარი; სულ ორი გირვანქა[1] საგზალი. ეს ზურგზე ძალიან მსუბუქი ჩანთებით უნდა გვქონოდა აკიდული; გარდა ამისა, თითო ძათარა მაგარი მოკა ყავა, (ეს ყავა შაქრიანი იყო, თუმცა, უშაქრო რომ ყოფილიყო სჯობდა). დანიშნულ მორიგეებს უნდა წამოეღოთ ორი ბოთლი კოსიაკი, ერთი წამლის შუშა ვალერიანის წვეთები, ერთი ბოთლი სპირტი და რამოდენიმე სისხლის გასაჩერებელი საშუალება; მაგალითად ქლორ-რკინიანი ბამბა. კიდევ გვქონდა ოც მეტრიანი სიგრძის თოკი, მსუბუქი და მაგარი, შაქრო-ბუილას წამოღებული; და ბოლოს, ბაუმჰაუერის 8×10½ სტ. კოდაკი და ჩემი ჰაერწნევამზომი — სიმაღლის მაჩვენებელი[2].

მე არც წინაღამეს მძინებია და იმ ღამეს ხომ უფრო რა დამაძინებდა. სულ ასვლის ფიქრებში ვიყავი და ყველაზე მეტად ამინდის გაფუჭება მაფიქრებდა. აქამდის მშვენიერი დარი იყო. 27 მარიამობისთვეს შევარდენის ბუდიდან ყველა მთები და მყინვარ-წვერი საკვირველად ახლოს მოს-

---

[1] გირვანქა 409,5 გრამს უდრის.

[2] ანუ ბარომეტრი.

ჩანდა. ბურუსი სრულიად არ იყო. მაგრამ, თურმე, ჰაერის ეს უცნაური სიწმინდე ქარს მოასწავებდა; და მართლაც, ღამე საშინელი ქარი ამოვარდა და ჩვენი კარავი კინალამ მოგლიჯა. თბიზომეტრი (ტერმომეტრი) — 1 მენაკამდე დაიწია[1].

8. ზევარდენის ბუდიდან მუინვარ-ფუერამდე

დილის სამ საათზე ყველანი ავაყენე. ვისაუზმეთ, მივიღეთ მომზადებული საგზალი და $4^1/_2$ საათი იყო, როცა გზას გავუდექით შემდეგი შემადგენლობით:

ფ ე ბ ი:

1. ბეჟანიშვილი მარო.
2. ლორთქიფანიძე ელიკო.
3. ნიკოლაიშვილი ხსმათი.
4. ტყავაძე მარო.
5. ჩხეიძე ლიდა.

სამი გამყოლი.

1. ბუზურთანოვი აბზი.
2. კაზალიკაშვილი იაგორ.
3. ქუშამეილი ლევან.

სტავროპოლელი რუსი: ჩუმიხინი ალექსანდრე.

ძ მ ე ბ ი:

1. ალნიაშვილი ატო.
2. ალიხანოვი ჟორა.
3. ბაუმჰაუერ ფრიდრიხ.
4. კილაძე სანდრო.
5. კრივოზუბკინი ბორისი.
6. კუკავაძე ვანიჩკა.

---

[1] „მენაკი“ აქაც „გრადუსის“ მნიშვნელობით არის ნახმარი.

7. მამიმთავრიშვილი შიკრო.
8. მათიაშვილი ბიშა.
9. მაჭავარიანი ფოთა.
10. მუნელიშვილი ვასო.
11. ნიკოლაძე გიორგი.
12. პაკენდორფ კურტი.
13. ტოროშელიძე გოგი.
14. ჭინჭარაძე მიშა.

სულ 23 კაცი.

ყველანი ისე ვართ ჩაცმულნი, რომ ჩრდილოეთის პოლიუსისაკენ გამგზავრებულ ექსპედიციას ვგავართ, ჯერ კიდევ ბნელა; ცა მოწმენდილია და ვარსკვლავები მოსჩანს. მაღალ მთიდან ისინი საკვირველი ბრწყინვალებით მოჩანან. დიდი ქარია; იაგორა ამბობს, რომ, თუ ეს ქარი არ ჩადგა, უკან დაბრუნება მოგვიხდებაო. ქარი დასავლეთიდან ჰქრის და ავდარსაც მოიტანს; ჩვენ ვგრძნობთ, რომ თუ დღეს ვერ ავედით, სულ ველარ ავალთ, რადგან გამოდარებამდე სურსათი დაგვაკლდება. ამიტომ განვაგრძობთ გზას.

პირველად გზა კლდოვან სერზე მიდის, რომელსაც „გახა წიკლაურის კლდოვანი ბილიკი" ეწოდება. ჩვენ ეს ბილიკი ტფილისიდანვე გვაინტერესებდა, რადგან გზის იმ დაწვრილებით გახრიგებაში, რომელიც პროფესორ დიდებულიძემ გადმოგვცა, ეწერა, რომ ეს ბილიკი ყველაზე ძნელად გასავლელი ადგილიაო. ჩვენ კი ეს ბილიკი გვეადვილა და მოგვეწონა, რადგან ხტომაში და ვარჯიშობაში დახელოვნებულნი ვართ.

წიკლაურის ბილიკით ე. წ. „კლდე-ქოხამდე" მივედით (პირველი ოლგიშკა ქისტურათ). კლდე-

ქოხის გადალმა მიწას უკვე ველარ შეხვდებით; ეხოლოდ თოვლია ან მყინვარ-წვერის მიერ ოდესღაც, უძველეს დროს აღმოფრქვეული წიაღვარი (ლავა). აქედან წიაღვარის წვეტიან ნატეხების ნაყარზე ავდივართ. დიდი აღმართია. ბორია კრივოზუბკინი ცუდათ ხდება: გული ერევა, იძულებულია უკან დაბრუნდეს. შემდეგ გამოირკვა, რომ მისი ავადმყოფობის მიზეზი სულ უბრალო რამე ყოფილა. წინა-დღეს, თურმე ქონი არავის უჭამია, რადგან არ მოსწონებიათ, ამას კი მთელი ეს ქონი მოუგროვებია, შეუწვამს და შეუჭამია. რაც დამდნარა, ისიც დაულევია. კრივოზუბკინი უკან დაბრუნდა. ჩვენ გზა განვაგრძეთ და მალე „მყინვართ გუშაგთან“ (მეორე ოლგიშკასთან) მივედით. ეს „მყინვართ გუშაგნი“ ნიაღვარის ორ უშველებელ სვეტს წარმოადგენს, რომელნიც მართლა გუშაგებივით უფსკრულს გაჰყურებენ. უფსკრულის ძირზე კი დახეთქილი და დასერილი დევდარაკის ყინვარია. აქ ცოტა დავისვენეთ, იმ დროს მზეც ამოვიდა და სურათი გადავიღეთ. შემდეგ ისევ გზა განვაგრძეთ. ისევ აღმართია, ახლა თოვლ-ყინულა დაიწყო. ეს თოვლ-ყინულა ავიარეთ; იქვე დიდ ქვის ძირში წყალი ვნახეთ, რომელიც ზევიდან გაყინული ყოფილ. წყალი იმდენად ცივი იყო, რომ ზედიზედ ორ ყლაპს ვერ დავლევდით, ერთი ფინჯნიდან ორნი სვამდნენ დროს მოსაგებად.

აქედან თოვლ-ყინულა ველზე გადავედით. ეს

ველი მარცხნივ დევდარაკისკენ არის დაქანებული, მის მარჯვნივ-კი წიაღვრის „მრისხანე“ კლდეა აძართული (მესამე ოლგიშკა). ეს კლდე იშლება და ქვები საშინელი სისწრაფით დევდარაკის ნაპრალებისკენ მიექანებიან. აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო. ჰაერწნევზომი 4 000 მეტრის სიმაღლეს მიჩვენებს. თოვლ-ყინულას ახალი თოვლი გადაჰფარებია და ამ თოვლზე პროფკავშირის ექსპედიციის კვალი მოსჩანს; ჩვენ ამ კვალს გავყევით. ის „მრისხანე“ კლდის ბოლომდე მიდიოდა, შემდეგ კი იკარგებოდა. აქ ორი სურათი გადავიღეთ. თოვლ-ყინულა ველი უშველებელ (თითქმის 3 ვერსი სიგრძით და სიგანით) ვაკე ადგილს წარმოადგენს, საიდანაც ყინული სხვა და სხვა მხრივ მრავალ ყინვარებათ ჩამოწოლილა. ერთ მხარეს — დევდარაკისაკენ, მეორე მხარეს — ჩათასკენ, მესამეს — მაილისკენ. ამათგან დევდარაკი და ჩათა საქართველოს საზღვრებშია, ხოლო მაილის ყინვარი — ჩვენ საზღვრებ გარეშე, თვით თოვლ-ყინულა ველზე ათასწლოვანი ყინული სძევს. რომლის სისქე ალაგ-ალაგ ას მეტრს აღემატება. ამ ყინულზე სიარული სახიფათოა, რადგან დახეთქილია, ნაპრალები და უფსკრულები თოვლით არის გადაფარებული, სადაც ჩავარდნა ადვილია. იაგორამ ქამარზე შაქროს თოკი მაგრა მიიბა და წინ წავიდა. ამ თოკის მეორე ბოლო ლევანს ეჭირა. ჩვენ ყველანი ერთ რიგათ მივდევდით; უკახა წინას ნაფეხურში სდგამს ფეხს. ამ გვარად ერთ ნაპრალს სულ ახლო გაუარეთ. უფსკრული ღრმა

იყო. კედლები ცისფერი ყინულის სტალაქტიდებით მოცული. ქვევით კი წყალი მიშხუის. ჩვენ ძალიან ნელა მივდიოდით წინ, ჰაერის სითხელეს ვებრძოდით. თუ ნაბიჯს ცოტა ავუჩქარებთ, მაჯაც აგვიჩქარდება და ისე ვსუნთქავთ, როგორც წყლიდან ამოღებული თევზი. ყინვა და ქარი მატულობს. კარგათ სჩანს, როგორ აბორიალებს ქარი თოვლს მყინვარ-წვერზე. აქაც თოვლის ბუქი დგება. ჰაერში ღრუბლები გამოჩნდა და ქვევითაც ყველაფერი ბურუსში გაეხვია. კავკასიონის გადალმა ველი მთლად ღრუბლით არის მოცული და ეს ღრუბელი კი ჩვენზე დაბლაა. დარიალში ღრუბლები სამხრეთიდან შედიან ნელ-ნელა, თითქოს უზარმაზარი გველეშაპები დასცურავენო. თვით მყინვარ-წვერსაც ხანდისხან დასავლეთიდან წამოსული ღრუბელი ფარავს. თოვლ-ყინულა ველიდან ჯიმარაიხოხს და მთელ ოსეთის ქედს კარგად ვხედავთ. ამგვარად მყინვარ-წვერის წოწის (კონუსის) ძირს მიუახლოვდით (4200 მეტრი). 10½ საათი იყო. იქ ვისვენებთ. ბევრს ვეძინება. ასმათი ჩამორჩა, დაწვა თოვლში და დაიძინა. ბევრი ვეწვალეთ სანამ გავაღვიძებდით და ავაყენებდით. მართალია, ჩვენ ორი ღამის უძილოები ვართ. მაგრამ ასეთი ძილის მორევა უსათუოთ სიმაღლის შედეგი უნდა იყოს. აქ ცოტა შოკოლადი და შაქარი შევჭამეთ. შაქარი მაღალ მთაში ძალიან სასარგებლოა: წყურვილს უკლავს და ძალასაც ჰმატებს. იაგორამ სთქვა, რომ უწინ უკრძალავდნენ გამყოლებს ასეთ ამინ-

დში ექსპედიციის აყვანას მწვერვალზე, რადგან შესაძლებელია, რომ ყველა დაიღუპოსო. ჩვენ ასე ადვილად იარაღს არ დავყრიდით და არ დავნებდებოდით. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ორნახევარ საათამდე წინ ვიაროთ, მერე კი უკან დავბრუნდეთ, რათა, მართლა, ამ ყინულოვან ადგილას არ დაგვიღამდეს და არ გავიყინოთ. ყველაფერი ზედმეტი მოვიხსენით და თოვლში ამოთხრილ ორმოებში ჩავალაგეთ, რომ ქარს არ წაეღო. ფეხებზე წრიაპები მივიმაგრეთ. დავიტოვეთ მხოლოდ ტყავის კურტკები, ჩაფხუტები, ხელთათმანები, ყავით მათარები, ჯიბეში კი რამდენიმე ნატეხი შაქარი. კონიაკი იქ დავტოვეთ, ვალერიანის წვეთები და სისხლის შესაჩერებელი ბამბა კი წავიღეთ. არც თოკი დაგვიწყებია. სახეზე ყველას ვაზელინი გვესვა და შავი სათვალეები გვეკეთა. მიშა მათიაშვილს მთელ სახეზე ჩამოცმული ჰქონდა მოქსოვილი თეთრი ნიღაბი. ასე მოწყობილები წოწს შეუდექით. აღმართი თავიდანვე დიდია; თანდათან მატულობს და ადგილ-ადგილ 75-80 მენაკს აღწევს. ჯერ დაკლაკნილად მივდიოდით, რადგან თოვლი რბილია და ასე სიარული შესაძლებელია, თუმცა კი ძნელია; თოვლი მუხლამდის ან წელამდის აღწევს. როდესაც ერთ ფეხს ზევით ვწევთ წინ გადასადგმელათ, უმთავრეს სიმძიმით წერაყინს ვეყრდნობით. ყველაზე ძნელი კი ის დროა, როცა წერაყინი უნდა ამოვაძროთ და წინ გადავიტანოთ ჩასარჭობათ. მაშინ ორივე ფეხზე ვდგავართ და ცალი ხელით ვკიდივართ; მე-

ორე ხელით კი წერაყინს მაგრა ვარჭობთ ყინულში, ისე რომ ბოლომდის ჩადის, რისთვისაც რამდენჯერმე ჩაქვრა სჭირდება. როცა წერაყინი საკმაოდ მაგრა არის, მაშინ ზედ ვეკიდებით და წინ ვიწევთ. ქარი ძლიერია და მოაქვს თოვლი; ხანდახან ვერაფერს ვხედავთ. ეხლა სავსებით დავემზავსეთ თოვლში დაკარგულ ჩრდილოეთის ექსპედიციას. თავზე თბილი ჩაფხუტებით, შავი სათვალეებით, დართვილულებს რაღაც საშინელი შეხედულობა გვქონდა. გარშემო ნისლია, თოვლი, ქარბუქი, არაფერი სჩანს. ჩვენ კი დადუმებულნი, შეუპოვრად ვებრძვით ბუნებას, უცნაური სიჯიუტით წინ მივიწევთ და დაჯინებით რაღაც პირობით წერტილისაკენ მივისწრაფებით. მე ჟიულ ვერნის კაპიტანი გატერასი მაგონდება და გულში მეცინება. სახელოებზე ყინულის სამაჯურები გაგვიკეთდა. მათარებში ყავა გაგვეყინა. თუ ტიტველ ხელს წერაყინის რკინას მივადებდით, ზედ ეკრობოდა ისე მაგრად, რომ მოცილება ძნელი იყო. ეს უკანასკნელი მოვლენა კი მოწმობს, რომ სიცივე — 20 მენაკამდე იყო. გაშყოლი აბზი ბეზურტანოვი, რომელიც უკან მოგვყვებოდა, ჯერ ძალიან ჩამოგვრჩა, მერე-კი სულ დაბრუნდა. ჩვენ კი ღიდის ბრძოლით და წვალებით ნელ-ნელა წინ მივდიოდით. მუშაობა გვახურებდა. დიდი ხნით დასვენება ყოველად შეუძლებელი იყო, რომ ვინმე არ გაყინულიყო, რისაც ძალიან მეშინოდა. ყველაზე უკან ჩამოვრჩი და გაჩერების ნებას არავის ვაძლევდი. ერთ რიგად მივდიოდით. წინ იაგორა მი-

გვიძღვებოდა და, სადაც საჭირო იყო, წერაყინით ყინულზე საფეხურებს სჭრიდა. ჩვენ ვიცოდით, რომ საფეხურების რიცხვი ასვლის სიძნელის ერთგვარი საზომია, ამიტომაც საფეხურების მთვლელები დავნიშნეთ. უკვე იმ უნაგირისებურ სერს მიუახლოვდით, რომელიც მყინვარ-წვერის დიდი (აღმოსავლეთის) და მცირე (დასავლეთის) წოწეების შორის მდებარეობს, მაგრამ ეს სერი მარჯვნივ დავტოვეთ და მარცხნივ აუხვიეთ.

ამ დროს ყველა გაჩერდა, რადგან ფოიბ მაჭავარიანს ფეხები გაჰყინვია და ფეხზე ველარ დგება. გამყოლ ლევან ქუშაშვილმა, რომელიც იაგორას მისდევდა, იმ ციცაბოზე საკვირველი სისწრაფით ჩამოირბინა და ფოიას წინ გაჩნდა. ჩვენც მივეშველეთ. ბევრი ვეწვალეთ, სანამ გაყინული ხელებით ბანდულები გავაძრეთ. თურმე იმას ბალახი რომ არ ჰქონდა, ბანდულები პირდაპირ წულებზე ჩაეცვა. წული ჯერ დასველებულიყო, მერე გაყინულიყო; წულას ფეხებზე მოეჭირა, და ფეხებსაც გაყინვა დაეწყოთ. ჩვენ ფოიას სამი წყვილი წინდა გავაძრეთ, ფეხები თოვლით კარგად დაუზილეთ, ბანდულებში ბალახი ჩაუგეთ, რომელიც ლევან ქუშაშვილმა „შევარდენის ბუდიდგან“ გამოსვლისას გადმომცა. ისევ ფეხთ ჩავაცვით და მაშინვე უკან დავაბრუნეთ. აგრეთვე უკან დავაბრუნეთ გოგი ტოროშელიძე, რომელსაც წრიაპების თასმები დასწყდომოდა და ცალი წრიაპი დაჰკარგოდა. რადგან მარტო ვერ დაბრუნდებოდნენ, ლევან ქუშაშვილი და ვარჯისთავი, ძმა ვანიჩკა

კუკავაძე, თან გავაყოლე. ამ შემთხვევაში ვანიჩკამ წესმორჩილების და თავგანწირულების საკვირველი მაგალითი გვაჩვენა. ის თავს ისე კარგად გრძნობდა, როგორც ყველა დანარჩენები და თითქმის მწვერვალამდე ასული, უკან დაბრუნებაზე დათანხმდა, მხოლოდ იმისათვის, რომ ფოიას უშველოს, თუ მას ფეხები ისევ გაეყინება. ვგონებ, რომ, ვანიჩკას გარდა, ხასიათის ასეთ შესანიშნავ სიმტკიცეს სხვა არავინ გამოიჩენდა, ამიტომ ჩვენ იმას ყოველთვის მწვერვალზე ასულების რიცხვში ვიხსენიებთ.

აქ მე გამოუცხადე ყველას, რომ ჩვენ ეხლა ერთი გამყოლილა გვრჩება და, თუ კიდე ცუდათ ვინმე გახდა, მაშინ ყველას დაბრუნება მოგვიხდება, ამიტომ ვისაც თავისი თავის იმედი არა აქვს, ეხლავე ვანიჩკას და ლევანს გაჰყვეს. რამდენჯერმე შევეკითხე, მაგრამ დაბრუნება არავინ მოისურვა. ჰაერწნევ-ზომი მაშინ 4800 მეტრის სიმაღლეს გვიჩვენებდა, ე. ი. 250 მეტრილა გვრჩებოდა მწვერვალამდე.

განვაგრძეთ გზა. ზოგს ცხვირიდან ცოტ-ცოტათი სისხლი სწვეთდა, მაგრამ ამას არაფრათ ვაგდებთ. მთავარი გულია და გული კი ყველას მშვენივრად ჰქონდა. ბეგრს ძილი ერეოდა, მათ ვერეკებოდით, რომ არ გაყინულიყვნენ. უცებ ქვევიდან რაღაც ყვირილი და ძახილი მოგვესმა. იაგორას დაენახა, რომ უკან დაბრუნებულებიდან ვიღაცა დაგორებულიყო. „ის ალბად დევდარაკში დაიღუპებაო", — დაუმატა მან. მაშინ ყველას და-

ბრუნება ვუბრძანე, მაგრამ იაგორამ მკაცრად მი-პასუხა: „ვინც ცუდათ მომზადებული წამოვიდა,— დეე დაიღუპოსო. ჩვენ კი აუცილებლივ მწვერ-ვალზე უნდა ავიდეთო". ჩვენც შელოცვილებივით მას დავემორჩილეთ. აი უკვე წიაღვარის შავ-კლდე-ებს მიუხლოვდით, რომელნიც შევარდენის ბუ-დიდგან მწვერვალთან სულ ახლო სჩანს. მე მე-გონა პირდაპირ კლდეებზე ავცოცდებოდით, მაგ-რამ იაგორამ კლდეების მარცხნივ მოგვატარა. ეხ-ლა ჩვენი გზა უფრო ძნელი და საშიშოა, რადგან გზა თითქმის კედელივით შეეულია და დაბლა უწი-ნდელ თოვლ-ყინულა ველის მაგივრად დევდარა-კის უფსკრულია. ჩვენ საფეხურებს ვჭრით ყინულ-ში და პირდაპირ ზევით მივდივართ. იაგორა სა-შინლად დაიქანცა, საფეხურებს ველარ სჭრის. ეხ-ლა ის გვეხვეწება დაბრუნებას. ის გვეუბნევა რომ, თუ ასეთ კედელივით გზაზედ საუკეთესო საფე-ხურები არ დავტოვეთ, ჩამოსვლა შეუძლებელი გახდებაო, ჩვენები იაგორას ადგილს იკავებენ. მათ შორის „და" ასმათ ნიკოლაიშვილი მუშაობს, რო-მელიც ამ საფეხურების ჭრამ ძალიან გამოაფხიზ-ლა და ჩვეულებისამებრ მხიარული გახდა. ძა-ლიან გვიშლის სტავროპოლელი რუსი, საცოდავს წრიაპები არა აქვს და ძლივს მიდის, ხან ვეჩხუბე-ბით იმას, ხან ვშველით, რაც ძალიან გვაგვიანებს.

$2^1/_2$ საათია. უკვე დაბრუნების დროა, მაგრამ ეხლა, როცა მიზანი ასე ახლოა, ყველა შეშლილს ჰგავს, ყველას აზრათ ერთიღა აქვს — „მწვერვა-

ლისაკენ“. საფრთხეს, ქარიშხალს, საშინელ ყინვას ალარავითარ ყურადღებას ალარ ვაქცევთ.

7. ფუინვარ-ფვერზე.

ბოლოს ალმართი ცოტა შემცირდა. ეს — მწვერვალია. მოწინავეებმა საფეხურების ჭრას თავი დაანებეს და პირდაპირ ზევით აირბინეს. ამ უკანასკნელ წუთში შვედელი ძმა კურტი, როცა მას ორი ნაბიჯი-ღა რჩებოდა, ღონე მიხდილი ყინულზე პირდაღმა დაეცა, მაგრამ მაშინვე მივარდნენ, დაზილეს და მალე მოაბრუნეს. ბოლოს ნელნელა დანარჩენებიც აცოცდნენ; ყველაზე უკანასკნელი მე ავედი.

მაშ მიზანი მიღწეულია, „მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებისა“, როგორც ასმათმა წინა დღეს შევარდენის ბუდეში ალნიშნა. ალსრულდა მრავალი წლის ოცნება! მრავალი დღის შრომა და მზადება ასე ბრწყინვალეთ დაგვირგვინდა! ჩვენ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. შეშლილებივით „ვაშას“ ვიძახდით, ვყვიროდით, ვიცინოდით. მე იაგორას მივვარდი და გადაეკოცნე. ატოს ორი ვაშლი ამოეტანა. ეს ვაშლები დიდი ამბით შევჭამეთ.

როგორ ავწერო ადამიანის სულიერი მდგომარეობა მიუწვდომელ მწვერვალის მიღწევის დროს. ის ხომ სრულიად შეუძლებელია. ამას მხოლოდ ის გაიგებს, ვინც თითონ ყოფილა ასეთ წუთებში. უძლეველი სიძლიერის და სიამაყის გრძნობა მთელ

არსებას იტაცებს. ჩვენ კი ბევრი რამ გვაქვს საამაყო: მწვერვალზე 18-ნი ვართ. ასეთი შემთხვევა მხოლოდ ერთხელ ყოფილა, როცა მყინვარ-წვერზე 21 კაცი ასულა, როდესაც მეტეოროლოგიურ ქოხს სდგამდნენ, მაგრამ ის ასვლა მ'შვენიერ დარში მოხდა და ამსვლელნიც უმეტესად მოხევე მზიდველები იყვნენ. ასეთ ცუდ დარში, როგორშიაც ჩვენ ავედით, 18 კაცი კი არა ჯერ ერთიც არ ასულა. გახა წიკლაური, რომელსაც შემდეგ „დიდებულიძის ნაბინავარში" შევხვდით, 15-ჯერ ასულა, მყინვარ-წვერზე და 50-ჯერ ვერ მიუხწევია. უდიდესი ყინვა, რომელიც მას ასვლის დროს განუცდია, — 8 მენაკი ყოფილა. ჩვენს ასვლის დროსკი 20 მენაკამდე იყო და ამასთან საშინელი ქარიც. აქამდის არც კი იცოდნენ დანამდვილებით, რომ მარიამობის თვეში მყინვარ-წვერზე ასეთი ყინვა შესაძლებელია[1], და ჩვენმა ასვლამ ეს დააბ'ტკიცა. მაგრამ უმთავრეს სიამაყეს ჩვენი დები წარმოადგენდნენ. ამდენი ქალი ჯერ იქ არასდროს არ ასულა. ჩვენები ხუთნი არიან და მათ შორის ასმათი ჯერ მხოლოდ მეექვსე კლასის მოწაფეა.

იქ ასვლისთვის თვით პრეობრაჟენსკის ქალს შესამჩნევი დახმარება სჭირდება ხოლმე; ჩვენ დებს

[1] 1902 წელს მარიამობისთვის 12-ს, ძველი სტილით, მარიამ პრეობრაჟენსკიმ მყინვარ-წვერზე მინიმალური თერმომეტრი (ქვენარი თბიზომი) დასტოვა. ორი კვირის შემდეგ, მარიამობის თვის 26-ს სტუდ. დემიკიდოვმა იმ თბიზომზე — 23 მენაკი ქვენარი ნახა, მაგრამ შემდეგში ეს თბიზომი გაფუჭებული აღმოჩნდა, ისე რომ მარიამობის თვეში ასეთი ყინვის შესაძლებლობა მაშინ დამტკიცებულათ არ ჩასთვალეს (ავტორის შენიშვნა).

კი არავინ დახმარებია. პირიქით — ზოგი მათგანი თვითონ მედგრად მუშაობდა და სხვას გზას უადვილებდა. მხოლოდ მარო ბეჟანიშვილს ძილი ერეოდა და ყოველ წუთს დაძინებას აპირებდა. მე მას მივდევდი და ხან ხვეწნით, ხან წყრომით წინ ვგზავნიდი.

აქ ნათლად დამტკიცდა, თუ ტანვარჯიშულ განვითარებას რა მნიშვნელობა ჰქონია. ფილტვები და გული ყველას მშვენივრად ჰქონდა, ვალერიანის წვეთები და სხვა რომელიმე წამალი არავის დასჭირებია, გაყინული ყავა ჩვენთვის მხოლოდ ზედმეტი ტვირთი გახდა. სიარულში კი ჩვენ, მალლა მთაში პირველად ამსვლელები, საუკეთესო გამყოლებს ვეჯიბრებოდით. ეს თვითონ გამყოლებმა აღნიშნეს და უკვირდათ კიდეც.

მწვერვალზე ყველა მშვენივრად გრძნობდა თავს. დაღალვის ნასახიც აღარავის ეტყობოდა და ყველა მხიარულად იყო.

მყინვარ-წვერი გამქრალი ვულკანის ნახევრად დანგრეულ კრატერის გვერდს წარმოადგენს. ეს გვერდი ძალიან ვიწრო და მოგრძო სერია, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადაჭიმული. შუაში ცოტა ამოზნექილია. ზედ ცხენსავით შევაჯექით. სამხრეთისაკენ, ე. ი. ტფილისისაკენ, მწვერვალზე ცოტა დაბლა, პატარა ბაქანია; მის კიდის კლდოვან ნაპრალის თავზე მეტეოროლოგიური ქოხი სდგას. იმასთან მისვლა ველარ მოვასწარით.

ის საუცხოვო გადასახედი, რომელიც თვალწინ უნდა გადაგვშლოდა, სამწუხაროდ, სრულიად

დაფარული იყო, მხოლოდ ხანდისხან და ალაგ-ალაგ ღრუბლები ოდნავ გაირღვეოდა და გვაგრძნობინებდა, თუ რა საშინელ სიმაღლეზე ვიყავით. ქარი აუწერელი სიძლიერით უბერავდა. კაცს ჭალალდივით მოიტაცებდა, რომ ადგილზე მჭიდროთ არ მივმაგრებულიყავით წერაყინით. შაქროს თუთიის ფირფიტა წარწერით თოვლში უნდა ჩაეფლა ამისათვის ფეხზე ადგომა სჭირდებოდა და, სანამ ყინულში ჩარჭობილ წერაყინზე თოკით არ ბიაბეს, ვერ დადგა. მეც ალიუმინის კოლოფი ჩვენი ნიშნებით თოვლში ჩავფალი.

8. მყინვარ-წვერიდან ჩამოსვლა.

მყინვარ-წვერზე 3½ საათზე ავედით, ე. ი. „შევარდენის ბუდიდგან" შეუჩერებლივ 11 საათი ვიარეთ. ეს ძალიან ნელია, მაგრამ საშინელი პირობები იყო. საფეხურების მთვლელებმა 1200 გაჭრილი საფეხური დასთვალეს. ძალიან დაგვიგვიანდა. საჭიროა უკან დაბრუნება, თორემ წოწზე დაგვიღამდება და გავიყინებით. მე ყველაზე უკანასკნელად ასული, მწვერვალზე მხოლოდ 5 წუთი დავრჩი და უკან ჩამოსვლის ბრძანება გავეცი. დავიწყეთ თუ არა ჩამოსვლა, მხოლოდ მაშინ შევნიშნეთ, რომ ნამდვილი საშინელება ასვლა კი არა, ჩამოსვლა ყოფილა. ის დალოცვილი სტავროპოლელი უწრიალო, დამჯდარი, დიდის წვალებით, ქვევით მიცოცავდა და თანაც ყველა საფე-

ხურებს ანგრევდა. დაქანება საშინელია. ჩვენ ქვემოდ კი, უფსკრულში დევდარაკის მყინვარის ნაპრალი და ნახეთქებია. ჩასვლის დროს მარო ტყავაძეს ფეხქვეშ თოვლი ჩაენგრა. ის მოსწყდა, მაგრამ ყინულში ჩარჭობილ წერაყიხს ხურჯინივით გადაეკიდა. ასე თავდაღმა გადაკიდებული შეჩერდა, თუმცა ნელ-ნელა ქვევით მიცურავდა. წერაყინი რომ მომძვრალიყო, ან გატეხილიყო, მარო დევდარაკში ჩაგორდებოდა და ყველას, ვინც ქვემოდ იყვნენ, თან ჩაიყოლებდა. მე ისევ უკანასკნელი მივდიოდი. ეს რომ დავინახე, სწრაფად ჩამოვირბინე, ისე როგორც, ლევან ქუშაშვილმა, ე. ი. წრიაპების უკანა კბილების თითქმის შვეულ ყინულში მაგრათ ჩარჭობით; მაროს ხელი ვტაცე და შევაჩერე. იმ დროს, როცა მარო ხელში მეჭირა, მე თითონაც ქვეით ჩაცურება დავიწყე, მაგრამ მალე მაროს თოკი მიაბეს და ზევით ასწიეს. მე ხელი გავინთავისუფლე და სხვების დახმარებით შევჩერდი და ფეხზე ავდექი. ამ გვარად საშინელი საფრთხე თავიდან ავიცილეთ.

წინ მივიწევით. უკვე შავ კლდეებსაც მოუარეთ, ისე რომ წოწის ყველაზე საშიში ნაწილი ჩამოვიარეთ. ეხლა გზა უფრო ადვილია. ამ დროს ზევიდგან ვიღაც მეძახის, უკან დაბრუნება და 200 მეტრზე ხელახლად ასვლა მე აღარ შემიძლიან. ძახილი ბევრჯერ მეორდება. მე კი არც დაბრუნება და არც შეჩერება შემიძლიან, რადგან ვგრძნობ, რომ გავიყინები. მწუხარებით ვფიქრობ, რომ შესაძლებელია, იქ, ზევით ვინმე დაიღუპოს, და მე-

კი მისი შველა არ შემიძლიან. ამის გარდა ვიცი, რომ ყველა ჩემსავით დაქანცულია და ალბათ იმას აღარავინ უშველის. მაგრამ შევცდი, ყველაზე ახლო ატო იყო. იმან იმოდენა გმირობა გამოიჩინა, რომ უკან დაბრუნდა. შავ კლდეებს ისევ აუარა, უვნებლად ჩამოვიდა. თვით ატო ასე აღწერს. თავის ჩამოსვლას.

„წავიდეთ, წავიდეთ", დაიძახა გიორგიმ. გაჩერება არც მე მინდოდა, მაგრამ პირველი არას გზით არ წავიდოდი; ვინ წავიდა წინ, აღარ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ ის, რომ მარო ტყავაძის უკან მივდიოდი, 10 მეტრზე ვიქნებოდი ჩასული, როცა მარო მოსწყდა, და მგონი, ფრიდრიხ ბაუმჰაუერიც წააქცია და დანარჩენებსაც თან გადაიტანდა, რომ გიორგი დროზე არ მიშველებოდა. ამ დროს გიორგი ჩემს შემდეგ მყოფ მარო ბეჟანიშვილს მიჰყვებოდა, რადგან ის ყველაზე სუსტად იყო. დაინახა თუ არა გიორგიმ, საქმე ცუდათ არის, დამიყვირა: „მარო ბ-ს მოუარე"-ო, თვითონ კი ჩამოირბინა ამ დაქანებულ ადგილზე მარო ტყავაძეს მივარდა და შეაჩერა. მე კი დავინახე თუ არა, რომ მარო ტ-ძე ჩაცურდა, გული გამისკდა; სანამ მარო ჩემ წინ იყო, მიფარავდა დევდარაკის უფსკრულს; როცა ის დაგორდა, ისეთი გრძნობა დამებადა, თითქოს უფსკრულის ბირზე ვკიდივარ, თანაც ისე ცუდათ ვიდექი, რომ, გაჩერების გარდა, სხვა ვერაფერს ვახერხებდი. მაროს მოვლა კი არა — მე თითონ მოსავლელი ვიყავი. გიორგიმ ამოიხედა, დაინახა, რომ მარო ბეჟანიშვილი დამ-

ჯდარა. ცოტა არ იყოს მწყრალად დამიძახა; „მა-
როს მიხედე“-ო. მე კიდევ პატარახანს უძრავად
ვიყავი, მერე ვიფიქრე: როდემდის ვიდგე ასე და
წავიწიე ზევითკენ. მაშინვე ქვევით ჩავცურდი $1^1/_2$
მეტრზე; მარო ტ-ძემ და გიორგიმ გამაჩერეს. მა-
ხსოვს გიორგის გაეცინა. მე კი, ამ ცურვის დროს,
შიშის მაგიერ სიბრაზეს ვგრძნობდი, იმიტომ რომ
ჩემი დაცურებით შესაძლებელი იყო სხვებიც და-
მეღუპა. მარო ბეჟანიშვილი ძალიან ნელა მიდი-
ოდა და მე მას ვუცდიდი, ამიტომ ყველამ წინ გა-
გვისწრო, გარდა სანდრო კილაძისა, რომელიც
მარო ბეჟანიშვილის უკან იყო და გაჩერების ნე-
ბას არ აძლევდა. როგორც იყო კლდეებს ჩამოვ-
ცდით. ამ დროს გავიგონე ვიღაცის ძახილი: გიო-
რგი-ო. ძალიან გამიკვირდა, რადგან იქ აღარავინ
მეგულებოდა. თურმე ჟორა ალიხანოვი უკან ჩა-
მორჩენილა. დაუყვირე: წამოდი-თქო. მან პასუ-
ხად ისევ გიორგის დაუწყო ძახილი; გიორგიც და
სხვებიც უკვე შორს იყვნენ. ჟორას ვეკითხებოდი,
თუ რაშია საქმე; ის მაინც თავისას არ იშლიდა და
გიორგის უძახდა. არ ვიცოდი, რა უნდოდა. მე მე-
გონა გიორგის არ ესმოდა და მეც მას დაუწყე
ყვირილი, მაგრამ ბევრი აღარ მიყვირია, რადგან
ვგრძნობდი, რომ ყვირილი მასუსტებდა. ვატყობ-
დი, რომ სანდროზე კარგად ვგრძნობდი თავს. ამი-
ტომ ვუთხარი: — „შენ მარო ბეჟანიშვილს მოუ-
არე, მე კი ჟორას დაუცდი. ორივე ჩემ წინ გაუ-
შვი, ჟორა კი ისევ „გიორგი, გიორგი“-ს ყვიროდა.
შევეკითხე ჟორას: „ჩემი ხმა გესმის“. — „კი“.—

„რაღას უცდი, წამოდი. ეხლა გიორგი ვერც შენს ხმას გაიგონებს და რომ გაიგონოს მაინც ვერ აძოვა“. იმან ისევ განაგრძო — „გიორგი, გიორგი“-ო. ამან, მართალი, რომ ვსთქვა, შემაშინა. ხომ არ გაგიჟდა მეთქი, მაგრამ ვიფიქრე. ასე სიცივეში რა გააგიჟებდა. „მოდიხარ, გიცდი“ — „მოვდივარ“-ო, მიპასუხა და ისევ გიორგი დაიყვირა. „ვა, ვიფიქრე, მოდი დავბრუნდები, და გავიგებ, რა მოხდა, მაგრამ რას დავბრუნდები, როდესაც ძლივს საძშვიდობოს გავედი, და ისევ იქ წავიდე. გავიხედე ქვევით. იქ ყველაფერი ნისლმა დაჰფარა. მარო ბეჟანიშვილი და სანდრო ქილაძე ძლივსღა ჩანდნენ. აქაც ისე გავიფიქრე — „როდემდის ვიყო ასე“. დაბრუნება ძალიან მეზარებოდა, ჟორას თავი დავანებო — ჩავიდე. მერე ბათუმელს ტფილისელებმა სახეში შემაფურთხონ: არ უშველე ძმასაო. ამ აზრმა ძალა მომიმატა, ბევრი აღარ ვიფიქრე. ფრთხილად დავიწყე ისე ასვლა და თან ვფიქრობდი — „თუ დავიღუპე, სასახელოა და მით უფრო მოვალეობის ასრულებისთვის“. კლდეებს აუხვიე და ავიხედე. ვხედავ, ჟორა ძალიან ცოტაზე ჩამოცოცდა. ცალ ფეხზე წრიაპი მოხსნია, გაყინული ხელებით ვეღარ მიუმაგრებია და ამიტომ კუსავით ნელა მოცოცავდა. ვიდრე ჟორა მომიახლოვდებოდა, ხელები დავიზილე, გავიხურე და მუშაობის უნარი განვაახლე. მიუმაგრე წრიაპი და ფრთხილად ნელ-ნელა ჩამოვედით“.

მე მარო ბეჟანიშვილს მოუცადე და მას გავყევი. ამ დროს მარო ტყავაძე, რომელიც ბევრად

ჩემზე წინ იყო და რომელიც დაგორების ეეიდეგ, რაღაც დაბნეული იყო, ხელახლად კოტრიალით დაგორდა. მისი ბეწვიანი ჩაფხუტი და ხელთათმანები ქარმა დევდარაკისაკენ გაიტაცა. თითოხ კი საშინელი სისწრაფით ქვევით მიგორავდა. გზაზე კურტს დაეჯახა და ისიც დააგორა. მე და ძარო ეეეანიშვილი სულგანაბულები ვუყურებდით ამ საშინელ სურათს. საბედნიეროდ ორივენი მარცხნივ თოვლყინულა ველისაკენ მიგორავდნენ და არა მარჯვნივ უფსკრულისკენ. წოწიდან ჩამოგორდნენ და თოვლში ჩაიფლნენ. მარო ტყავაძე უძრავად მკვდარივით ეგდო. დავინახე თუ არა ნელანდელივით სირბილით მისკენ გავსწიე, მაგრამ წინ ორას მეტრამდე მანძილი იყო. ჩემი ჩამორბენის სიჩქარე თანდათან მატულობდა და ბოლოს მეც თავდაყირა კოტრიალით წავედი. წერაყინი ხელიდან გამისხლტა, ჯიბიდან უბის წიგნაკი, ამომვარდა, რომელშიაც მოგზაურობის შენიშვნები მქონდა ჩაწერილი, აგრეთვე ყველა ჩვენი საბუთები სამუდამოთ დევდარაკისაკენ გაფრინდა. მე წოწის ბოლომდე ვიგორე და იქვე კურტის და ტყავაძის გვერდში უვნებლად თოვლში ჩავიფალი. თურმე ისინიც ჩემსავით უვნებლათ გადარჩენილიყვნენ; მხოლოდ მაროს ნერვები აშლოდა და მარტო ველარ მიდიოდა. თითონ მარტო ტყავაძე ასე სწერს თავის დღიურში:

„მივდივარ მარტო. ჩასვლა მიძნელდება. წოწიდან ჩამოსვლის დროს ქუსლები უნდა ჩავარჭო ყინულში. მარცხენა ქუსლს კარგათ ვარჭობ, მაგ-

რამ მარჯვენა არ ჩერდება და ასე წვალებით ნელ-
ნელა ჩამოვდივარ. ბოლოს გადავწყვიტე ჩაცურე-
ბა, მაგრამ ამის გადაწყვეტა და ჩემი კოტრიალით
ჩაგორება ერთი იყო. კარგა მანძილი რომ ვიგო-
რე, კურტს, რომელსაც ჩემი შეჩერება უნდოდა,
დავეჯახე და ისიც დავაგორე. დიდხანს ვიგორეთ.
ბოლოს როგორღაც გავჩერდი, მივიხედე, — ვხე-
დავ კურტიც გაჩერდა, მაგრამ ამ დროს გიორგი
დაგორდა და ისიც ჩვენ გვერდში შეჩერდა. თურ-
მე გიორგი ჩემ მოსაშველებლად წამოსული და-
გორებულიყო. ამ გორვაში ქუდიც დავკარგე და
თავშიშველი დავრჩი. ადგომა მინდოდა, მაგრამ
მუხლებში ძალა აღარ მქონდა. აქედან წამიყვანეს
ჯერ გიორგიმ, მერე კურტმა და ლევახ ქუშაშვილ-
მა, მარჯვენა ფეხიდან ბანდული გაძეძრო და ფეხ-
შიშველიც დავრჩი. მიუახლოვდით ლიტუსიას,
რომელიც ყველა ჩამოსულებს ხვდებოდა და თი-
თო ყლუპ კონიაკს ასმევდა. იმან თავისი წუღა
მომცა და კურტის და ლევანის დახმარებით გან-
ვაგრძე გზა".

მე როცა მარო ტყავაძე კურტს ჩავაბარე, უკან
დაბრუნება მომიხდა, რადგან ზევით ჩვენი სამი
წერაყინი დარჩა. მხოლოდ იმან, ვინც ასეთს ექს-
პედიციაში ყოფილა, იცის თუ რა ძნელია ასეთ
პირობებში ათიოდე ნაბიჯით უკან დაბრუნება. მე
კი 50 მეტრზე ასვლა დამჭირდა.

გამყოლი ლევან ქუშაშვილი წოწის შუაზე და-
გვხვდა. იმან უსაზღვროთ გაგვახარა ვანიჩკა კუ-
კავაძის, ფოიას და გოგის „შევარდენის ბუდეში"

მშვიდობით დაბრუნების ამბით. თურმე იაგორაც ზევიდან დაგორებული კაცი რომ დაინახა, ვანიჩკა კუკავაძე ყოფილა. შემდეგ თვით ვახიჩკამ გვიამბო თავისი დაგორების ამბავი: „თქვენ რომ ზეკით გასწიეთ, მე თქვენთან გამოსალმება მინდოდა, მოვბრუნდი თქვენსკენ და ძმური სალამი დაგიყვირეთ. ამ დროს ფეხები როგორღაც გამისხლტა და თავდაყირა გორვით ქვევით წავედი. მინდოდა წერაყინით გავჩერებულიყავი, მაგრამ, დიდი სიჩქარის გამო, ვერ გავჩერდი. ქვევით კოტრიალით მივდიოდი, თან კი ფიქრში დედას ვესალმებოდი. ასე დიდხანს ვიგორავე და სრულიად მოულოდნელად რბილ თოვლში მოვხვდი, სადაც შეჩერება შევძელი“.

თოვლყინულა ველზე ჩვენი კვალი ქარს სრულიად მოეშალა. ის ადგილი, სადაც ჩვენი ჩანთები ჩავფალით, სრულიად დაკარგულიყო და თურმე სულ შემთხვევით სანდრო კილაძე წაქცევის დროს ერთ-ერთ ჩანთას დასცემოდა და ამით აღმოეჩინა ჩვენი ბარგი. ყველამ თითო ყლუპი კონიაკი დალია და გზას გაუდგა. მე და ლიტუსია კი დავრჩით. მარო ბ-ს, ატოს და ჟორას ვუცდიდით. ლიტუსი ჩხეიძე ძალიან ყოჩაღათ იყო. აიღო კონიაკის ბოთლი და ზევით დაბრუნდა, ჩამორჩენილების გასამხნევებლად. მე კი იქ დავრჩი, და, რომ არ გავყინულიყავი, ჩქარის ნაბიჯით სულ პატარა მანძილზედ, სადაც ფეხი თოვლში არ იფლეთოდა, დავდიოდი. ქარი ისევ ძლიერად უბერავდა. ყინვაც ძლიერ საგრძნობი იყო. ღამდებოდა კიდეც.

ღიღხანს ეუცადე. ბოლოს ყველანი ჩამოვიღნენ. გადაეჭერით თოვლყინულა ველი „ყიხვართ გუშაგთან“ მივედით, იქიდგან დაბლა, შორს, „შევარდენის ბუდის“ მიმართულებით მაშხალები დავინახეთ. ჩვენები ნიშნებს გვაძლევდნენ. მახლობლად, წყაროსთან, ლეანი გვიცდიდა, რომ სიბნელეში გახა წიკლაურის ბილიკზე გავეტარებინეთ. ისე შოქანცულები ვიყავით, რომ ფეხებს ძლივს მივათრევდით. სწორეთ 9½ იყო, როცა ჩვენ მშიერები, ბუნებასთან 11 საათის მედგარი და შეუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ, „შევარდენის ბუდეს“ დაუბრუნდით. იქ ჩვენებმა ცხელი ჩაი დაგვახვედრეს. მიუხედავად საშინელი დაღლილობისა, ყველა აღტაცებულია, მხიარულია. ჩვენი მოგზაურობა ყველასთვის უზიანოთ დამთავრდა და შიზანსაც მივაღწიეთ.

აღსანიშნავია, რომ თან წაღებული სურსათი, რომელსაც ტფილისიდანვე ისეთ ყურადღებას ვაქცევდით და რომელიც წამალივით, წონით დავირიგეთ, იმ დღეს სულ არ ეხმარია. ეაროა შაქრის რამდენიმე ნატეხებისა. ჩვენი ჩანთები ისევ ისე დატვირთულები მოვიტანეთ უკან.

ე. მეორე დღე შევარდენის ბუდეში. დიდებულიძის ნაპირნავარისკენ გამგზავრება და მისვლა.

მთელი მეორე დღე კარავში ვიწექით და ვისვენებდით. ერთმანეთს გუშინდელ შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით და გვიკვირდა, რომ ასეთ ქარს

და ყინვას ყველანი მშვიდობით გადაურჩით. მე მიკვირს, რომ აბზი ბეზურტანოვი, შევარდენის ბუდეში დაბრუნების შემდეგ, მყინვარ-წვერისკენ ხელაპყრობილი ჩვენ გადარჩენაზე ლოცულობდა. მართლაც თოვლის სიმრავლის გამო, ამ ზაფხულს ასვლა შედარებით ძალიან ძნელი ყოფილა. ჩვენ ვარკვევდით, ვის რა დაუშავდა. ჩვენ მთავარ მტერს — ყინვას — არავისთვის ზიანი არ მიუყენებია, გარდა იმისა, რომ თითქმის ყველას თითები დაძრული და დაბუჟებული ჰქონდათ, რაც 10-15 დღის შემდეგ მოგვირჩა. ყინვა ისეთი საშინელი იყო, რომ ყავა მათარებში გაგვეყინა, რომელსაც შემდეგ ცეცხლზე ვათბობდით და როგორც ყავის ნაყინს ისე ვჭამდით. ფეხები კი ყველას უვნებელი გვქონდა. ბანდულები შესანიშნავი ფეხსაცმელი გამოდგა — მსუბუქი და თბილი. დაგორების დროს არავინ დაზიანდა. საყურადღებოა ის, რომ სხვა და სხვა გვარ წრიაპებიდან ჩვენებურმა მოხევურმა წრიაპებმა ყველას აჯობა. ის ოთხ კბილიანი ჯვარედინი წრიაპი, რომელიც სტეფანწმინდაში მჭედელ „ქოთიამ“ გამოგვიჭედა, ყველაზე სანდო გამოდგა. შვეიცარიული და ინგლისური შედარებით ნაკლებად გამოსადეგი იყო.

უმთავრესი ზიანი ჩვენ იისფერ-გალმა (ულტრაიისფერი) სხივებმა მოგვაყენეს. ცნობილია, რომ ამ სხივებს ჰაერი თავის სისქეში ძალიან ცუდათ ატარებს. ზღვის დონესთან შედარებით 5 კილომეტრის სიმაღლეზე ვიყავით და, რა თქმა უნდა, იისფერ გალმა სხივებისთვის 5 კილომეტრიან ჰა-

ერის სისქეს დიდი მნიშვნელობა აქვს. ინსფერგალმა სხივები აქ უამრავია და ჩვენ სახეებზე მათი ქიმიური მოქმედება საშინელია. მიუხედავათ ქარ-ბუქისა და ნისლისა, ჩვენ საშინლად გავშავდით და შოკოლადის ფერის გავხდით. ცხვირები გაგვიწითლდა, გაგვისივდა, ტყავი დასკდა. ტუჩებიც სულ დაგვისკდა, გასივდა და ზედ რაღაც მუწუკები დაგვაყარა. მეტადრე დები დაგვიზიანდნენ, რაღაც ჯოჯოებს დაემსგავსნენ. ელიკო ლორთქიფანიძეს და ყორა ალიხანოვს გზაში ბნელი სათვალეები მოეხსნათ, რამაც მეორე დღეს თვალის ანთება გამოიწვია. თვალები საშინლად გაუწითლდათ, და ცრემლი სდიოდათ. თითქმის ვერაფერს ხედავდნენ და საშინელი ტკივილები ჰქონდათ. მაგრამ ეს საშიში არ იყო და მალეც გაუარა. ისევ „შევარდენის ბუდეში" ვისვენებდით. ზოგი ძმები კი ქვევით წავიდნენ: სანდრო კილაძე და მიშა ჭინჭარაძე სტეფან-წმინდაში სურსათის დასამზადებლად და დეპეშების დასაგზავნათ წავიდნენ. უნდა ვაცნობოთ ყველას, რომ მყინვარ-წვერზე ამდენი ხალხი ასეთ საშინელ პირობებში ავედით და უვნებლათ დავბრუნდით. ბორია კრიკოზუბკინი და ყორა ალიხანოვი ძაუგში (ყაკაკში) წავიდნენ; ყორა, თვალის ექიმთან, ამათ ლევან ქუშაშვილი და აბზი ბუზურტანოვი გაჰყვნენ.

ამინდი თანდათან თუჭდებოდა. ღრუბელი გროვდებოდა. საღამოს წვიმა მოვიდა და ხორხოშელაც მოაყოლა. ჩვენი სურსათი ძალიან ტკბილი და სუქანი იყო, რამაც თავი მოგვაბეზრა: ქონს ვე-

ღარც კი ვუყურებდით. იმ დღეს უმთავრესად კაკაოს და შაქარ-ნარევ თოვლსა ვჭამდით, რომელიც შოკოლადის ნაყინს მოგვაგონებდა და ძალიან მოგვწონდა. მთელ დღეს ან ვიწექით, ან კედლებზე წარწერებს ვაკეთებდით.

შევარდენის ბუდეს უწინ რუსული სამთო საზოგადოება უვლიდა, ეხლა კი სრულიად უპატრონოთ არის მიგდებული. დღეიდან ჩვენ, ქართველი მგზავროსნები უნდა დავეპატრონოთ მას. ვოცნებობ, რომ ისევ დავბრუნდებით აქ, და ჩვენი პირველი ასვლის სახსოვრად, ჩვენივე ხელით შევაკეთებთ შევარდენის ბუდეს.

ღამე დიდი ქარი ამოვარდა. წვიმს, თოვს, ჩვენ კი კარავში ვწევართ, რომელიც წინდაწინვე ქვებით დავამაგრეთ და მას გარშემო თხრილიც გაუკეთეთ. დასველებული კარავი ნელ-ნელა მთლად გაიყინა. დილით აღარ წვიმდა, მაგრამ ჩამოლრუბლული იყო და ქვევიდან ნისლი ამოდიოდა. უბრალესობას წასვლა უნდოდა, მე კი ჯერ ვერ გადამეწყვიტა: შევარდენის ბუდესთან გამოსალმება მეძნელებოდა. უცებ ვიღაცამ დაიძახა: „კაზარმებთან კარავია, კარავი, დიდებულიძე მოვიდა, გიორგი!“ გავიქეცი დევდარაკისაკენ და გადავიხედეთ: „მოვიდა, მოსულა, სოსოც მოვიდა, სოსოც“ — ახმაურდა „შევარდენის ბუდე“. ბევრმა დაიწყეს ერთხმად ყვირილი: სოსო — ას-ლა-ნი-შვი-ლი. დანარჩენებიც შეუერთდით და ყველა, 23 კაცი ვუძახდით სოსოს. ამ დროს ცოტა ხნით მზემაც გამოიხედა და ჩვენ ნიშნად ატოს დიდი საბა-

ნი ავაფრიალეთ. ცხადია, რომ შეგვნიშნეს, რადგან ხელსაწყო-ჰელიოტროპის ბრწყინვალე შუქი მოგვაპყრეს. ეს შუქი ხან ჰქრებოდა, ხან ისევ ენთებოდა. მორზეს ანბანით რაღაცას გვანიშნებდნენ, მაგრამ ვერ გავიგეთ.

ამინდი თანდათან ფუჭდებოდა. ჩვენ საჩქაროდ შევკარით ბარგი, ზურგზე ავიკიდეთ და ქვევით გავემგზავრეთ. თუ ზევით ჩვენი ბარგი 18 მზიდავმა ამოიტანა და ისიც ორგზათ, ეხლა ყველაფერი ჩვენ თითონ მიგვქონდა ერთბაშად, ფულიც შემოგველია და ყაირათობა გვჭირდებოდა. ყველა საშინლად დატვირთული იყო. მე ერთი სველი კარავი მომქონდა, წონით 2 ფუთი და კიდევ ჩემი ბარგი ერთი ფუთი, სულ დაახლოებით 3 ფუთი. იმდენივე შაქრო მამამთავრიშვილს და არც დანარჩენები ჩამოგვივარდებოდნენ. ყველანი დატვირთულ აქლემებს ვგავდით. ისევ გაწვიმდა, გზა დასველდა და ქვები გასლიპდა. ატოს თავის ბარგი მშვენიერ საბნით შეკარდენის ბუდიდან დაუგორდა და სამუდამოთ დაეკარგა.

ქვევით ჩასვლის დროს ძალიან დავიტანჯეთ. მე ჩემი სამი ფუთი გზის ორ მესამედზე ვათრიე, სანამ სლიპი ბალახი დაიწყებოდა, იქ ველარ შევძელი და იძულებული გავხდი ბარგის ნაწილი სხვისთვის გადამეცა. დაახლოებით გზის ერთ მესამედზე ობსერვატორიის ექსპედიციის მოწინავე ნაწილი შეგვხვდა. ესინი ზევით მიდიოდნენ. სხვათა შორის, ერთი ქალიც — ჯაფარიძე[1], მიჰყვებო-

---

[1] ალექსანდრა ბიჭიას ას. ჯაფარიძე (1895—1974) —გამოჩენილი ქართველი მთასელელი ქალი.

დათ. ასე მიყრუებულ ალაგს, ასეთ პირობებში შეხვედრა ორივე მხრივ დიდ აღტაცებას იწვევს. ჩვენ საჩქაროთ ჩვენი ასვლის ამბავს ვუამბობთ, ისინი გამარჯვებას გვილოცავენ და ალბათ ფიქრობენ, ავლენ თითონაც თუ არა. სოსოს წერილიც გადმომცეს, რომელიც ახლად წოდებულ — დიდებულიძის ნაბინავარში გველოდებოდა. წვიმა მატულობდა. ვლიკოს ჩამოსვლა ძალიან უჭირდებოდა, რადგან, თვალების დაშავების გამო, ვერას ხედავდა. ზევიდან დაგორებული ქვა ჩემ დიდ ფოტოგრაფიულ აპარატს მოხვდა და აპარატი უფსკრულში ჩაგორდა ნამსხვრევებად ქცეული. მასთან ერთად დაიღუპა ჩვენი საუკეთესო სურათებიც და აგრეთვე ცეისის ძვირფასი ობიექტივი. გზაში ბევრი რამე დაგვიგორდა უფსკრულში. ზოგი სამუდამოთ დაიკარგა, ზოგი კი ქვევით ჩასვლისას ვნახეთ.

ბოლო დროს ძალიან გაგვიძნელდა; საბედნიეროდ დიდებულიძის ექსპედიციის მზიდველებმა ჩამოირბინეს გასაოცარი სისწრაფით, მოკლე გზით შალალის ქვანაყარზე შეიარდენის ბუდიდგან. ზოგ მათგანს გაურიგდით ბანდულებზე და ისინი დაგვეხმარნენ. როგორც იყო დაღმართი ჩამოვიარეთ და დევდარაკის მყინვარს შეუდექით. აქ ერთ-ერთ ნაპრალში ლევანის მიერ მოკლული ჯიჩვის ნაწილი ვნახეთ, რომელიც ლევანს ჩვენთვის შეენახა. ისიც თან წამოვიღეთ. უკვე საღამო იყო, როცა თავიდან ფეხებამდე გაწუწულებმა დიდებულიძის ნაბინავარს შივალწიეთ. იქ პროფესორი

დიდებულიძე დიდი სტუმარ-მოყვარეობით შეგ-
ვხვდა. ყველას ცხელი ყავა დაგვალევინა, ერთი კა-
რავი დაგვითმო და სხვა ამგვარი დახმარება ალ-
მოგვიჩინა. ცეცხლზე ვშრებით და ვთბებით; იქ-
ვე მახლობლათ სამეცნიერო ხელსაწყოები ალა-
გია. ექსპედიციის წევრები ღწურ[1] დაკვირვებას
აწარმოებენ. აქ ჩემი ჰაერწნევზომის სისწორე შე-
ვამოწმე. მისვლისთანავე ყველანი ყვირილით გარ-
შემოვეხვიეთ სოსო ასლანიშვილს. ყველა მას ელა-
პარაკება, მას უამბობს თავის ამბავს, საწყალმა
სოსომ ალარ იცის, რომელ ერთს უგდოს ყური.
იქვე გავეცანით ცნობილ გამყოლ გახა წიკლაურს.
ის გვიცინის; ჩვენი ამბავი მოიწონა ძალიან, მაგ-
რამ სჩანს, რომ ბევრი ლაპარაკი არ უყვარს. სო-
სო ხუმრობით ეკითხება: „გახა, როგორ მოგწონს
ჩვენი მოვარჯიშეები"-ო. — „ჰაი, ჰაი, რომ ხალ-
ხია", უპასუხებს ის მოკლედ. მოხევე მზიდველე-
ბი ძალიან დაგვიმეგობრდნენ. მარო ტყავაძეს, მი-
სი ჩქარი სიარულისათვის, ქართველი პრეობრა-
ჟენსკი უწოდეს. ყველა მას მარი პალნას (მარია
პავლოვნას) ეძახის. თვითონ მოხევეები ჩვენ ძა-
ლიან მოგვეწონა: ჯოხტა და ლამაზი ხალხია, მთებ-
ში საკვირველი სიმარდით დადიან, ლაპარაკიც
შეუდარებელი აქვთ, შუა მარცვალზე ხმას ამაღ-
ლებენ, მაგალითად: „ყინვარწვერზე ასვლა ჰაი
ჰაი რომ ძნელია, ბარაქალა, ყოჩაღათ იარეთ, მე

---

[1] გიორგი ნიკოლაძის ტერმინოლოგიით — „ზუსტ"; ალ. დიდებულიძის ექსპედიცია ზუსტ მეტეოროლოგიურ დაკვირვებებს ისახავდა მიზნად.

იმედი არ მქონდა, რომ ამისთანა გოხ ამინდჩი ასე გაბედულად ივლიდით". მალე ჩვენ ჯგუფებად დავიყავით. დები ჯიხვის ხარშვას შეუდგნენ, კარავების კომისია ბება თუმანიშვილის ხელმძღვანელობით — კარავების დადგმას და სხვა. კარავის დადგმა ძალიან გაუძნელდათ, რადგან სველი ნასკვების გახსნა დაძრული ხელებით ძნელი იყო. კარავები დადგეს კაზარმის კედლების ნანგრევებზეა, მაღალ სველ ბალახში, იქვე ცეცხლი დაანთეს. მე და გოგი ტოროშელიძემ, მიუხედავათ წვიმის და დიდი სიცივისა (-5 მენაკი იყო), ფეხთ გავიხადეთ და ფეხშიშველა დავდიოდით ბალახში, წულას კი ცეცხლთან ვაშრობდით. ბოლოს ეს წულები ორივეს დაგვეწვა და სულ ფეხშიშველა დავრჩით, რადგან ბანდულებიც წინათ მზიდველებს დახმარებისთვის მივეცით. ძალიან გვშიან. მოუთმენლად მოველით ჯიხვის ხარშოს. დიდი ხანია „ხეირიანი" არაფერი გვიჭამია, და ძალიან გვენატრება. ზოგი იქამდის მივიდა, რომ ყველის და ჭადის ნატეხებში შოკოლადს აძლევს. ბოლოს ხორციც მოგვართვეს. რა მშვენიერი ყოფილა ჯიხვის ხორცი, მაგრამ რა ცოტაა...

ჩვენც და ჩვენი ბარგიც სულ ერთიანად სველია. ძალიან ცივა. მთელი ღამე სველ კარავში მწოლარეებს თავზე გვაწვიმა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველას ისე ტკბილათ გვეძინა, თითქო საუკეთესო თბილ ლოგინში ვიყავით; ალარც ჰაერის სითხელე გვაწუხებდა.

დილით ადრე ავდექით. სურსათი სულ გამოგველია... რაც დაგვრჩა, ამ დილას დავირიგეთ. თითოს ცოტა ქარაქი და შაქრის სველი ფხვნილი გვერგო; ამით ცოტა შევნაყრდით. გამოვეთხოვეთ სოსოს და სამეცნიერო ექსპედიციას, რომელთაც სამადლობელოთ რამდენიმე ჩვენი წერაყინი და წრიაპები ვათხოვეთ. ავიკიდეთ ბარგი და გზას გაუდექით. აქაც დიდი წვალება გამოვიარეთ, რადგან ძლიერ ბძიმე ტვირთი მოგვქონდა. ხან და ხან ფანგებ ვაგორებდით ბარგს დაღმართზე. მაგრამ ესე უარესი იყო. ხშირად ეს ბარგი ისეთ ალაგს ჩაგორდებოდა, რომ უკან ამოთრევა გვიჭირდებოდა. ამ ჩაგორების დროს ვერას ჩანთა გაეხსნა და მთელი ბარგი დაეფანტა. დიდხანს მოუნდით მის მოგროვებას. ბოლოს გველეთში ჩვენ გამყოლი აბზი ბეზურტანოვის ბინაზე მივედით, სადაც ჩვენი ძმები სანდრო კილაძე და მიშა ჭინჭარაძე დაგვიხვდნენ. ამათ ჩვენთვის ყველაფერი მოემზადებინათ. ძლივს ვეღირსეთ ჭადს, ყველს, რძეს და ხორცს. ისე შეეექეცით, როგორც დამშეული მგლების ფარა.

შემდეგ თბილ ოთახში დავწექით. გამოვიძინეთ და მეორე დღეს ცხენის ურმით (ორთვალათი) ძაუგისკენ (ყავკავისაკენ) გავემგზავრეთ. ფეხსაცმელი სრულიად გაგვიცვდა. მე და მარო ბეჟანიშვილი ფეხშიშველა დავრჩით. შაქრო მამამთავრიშვილს ბანდულები აცვია. ასე შეეედით ძაუგში.

მიუხედავად ამისა, რომ ამდენი სანახაობა უკვე ვნახეთ, დარიალის ხეობამ მაინც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ყველაზე. ზედგამოჭრილია ძოხეური სიმღერა:

ტიალა დარიალაო,
კლდენი ხარ ცარიალაო.

. აი საქართველოს საზღვრებსაც მივაღწიეთ. დროებით საქართველოს უნდა გამოვესალმოთ და საზღვარ-გარეთ გადავიდეთ...

ლარსში დიდი ტვირთმატარი დაგვხვდა, ძაუგიდან ტფილისში მიმავალი, ძალიან დატვირთული იყო. ბარგზე კი ბევრი ხალხი იჯდა. მათ შორის ვიღაც სქელი კაცი და ქალიც. ჩაცმულობით ინგლისელ მგზავროსნებს (ტურისტებს) მიაგავდენ, მაგრამ რუსულად დაგველაპარაკნენ და ჩვენი ვინაობა იკითხეს. ჩვენ ვუთხარით, რომ მყინვარწვერიდან მოვდივართ. იმათ სიცილი დაიწყეს და ჩვენ განმეორებით რწმუნებაზე გვიპასუხეს: „იქ ხომ ორი კაცის გარდა (პასტუხოვის[1] და პრეობრაჟენსკისა) არავინ ასულაო. რას გვატყუებთო. და, გარდა ამისა, მთაში ნასიარულობა თქვენ სულ არ გეტყობათო. ჩვენ ერთ მთაზე ავედით კისლავოდსკთან და მზემ სულ სახეზე ტყავი გადაგვაძროვო. სახლიდან ვეღარ გამოვდიოდითო". ყოველხაირად ეცდილობდით, რომ ჩვენი სიმართლე დაგვეჭიკცებინა, ისინი კი სულ თავისას იძახოდნენ. საქმე

[1] ანდრეი ვასილის ძე პასტუხოვი (1860—1899) — ცნობილი რუსი სამხედრო ტოპოგრაფი, რომელიც კავკასიონის ტოპოგრაფიულ აზომვას აწარმოებდა.

იქამდის მივიდა, რომ წერაყინები და წრიაპები ვუჩვენეთ. „ეს წრიაპები სრულებით დაუახგულიაო, სჩანს ორც გიხმარიათო“. უკანასკნელი არგუმენტი მე ვიყავი, როგორც გაფრეხ-თავი (ანუ მთამსვლელთა მეთაური) და როგორც უნივერსიტეტის დოცენტი; მაგრამ ჩემ მოკლე შარვალს და ტიტველა ფეხებს ისე შემოხედეს, რომ ცხადად ვიგრძენი, თვით მყინვარზე ასვლის ამბავს უფრო ადვილად დაიჯერებდნენ, ვიდრე ჩემ დოცენტობას. თურმე ჩვენდამი ასეთ უნდობლობას ის იწვევდა, რომ ჩვენ ქართველები ვიყავით, რადგან, როგორც კი შვედელი ძმა კურტი მათ გერმანულად დაელაპარაკა, მაშინათვე დაიჯერეს. მაშინ მათ ალტაცებამ და გაკვირვებამ საზღვარს გადაუვარბა — „თქვენ ეხლა ხომ ისტორიაში მოჰყვებითო“.

11. დაბრუნება.

დანარჩენი ჩვენი მოგზაურობა, ამდენ გაჭირვებათა გამოვლის შემდეგ, დასვენებას წარმოადგენდა. ძაუგში ქართულ სკოლაში დავბინავდით და იქ 4 დღე დავრჩით. იქ უმთავრესად საზამთროებით ვიკვებებოდით. ქუჩებში ჩვენებურ ტანსაცმელით დავდიოდით, ძმები მოკლე შარვლებით, დებიც შარვლებით, რაც კავკავში დიდ გაკვირვებას იწვევდა. მოჭიდავე ცირკელებათ გვთვლიდნენ. როცა ვეუბნებოდით, რომ მყინვარ-წვერიდან

ჩამოსულები ვართ, ისინი ეჭვის თვალით გვიცქერ-
როდნენ და არ სჯეროდათ. სამაგიეროთ პრეობრა-
ჟენსკის ქალი „მარი-პალნა“ ეხლა სულ სხვანაი-
რად გვიყურებდა. ის ბევრჯელ ვნახეთ და დაუმე-
გობრდით კიდეც. თავისი მრავალი მოგზაურობი-
დან ბევრი საყურადღებო რამე გვიამბო.

ისევ გამოიდარა. მყინვარ-წვერი კავკავიდან სულ
ახლო ჩანს. ეხლა ის უწინდელზე უფრო გვიზი-
დავს. იქვე კავკავში გადავწყვიტეთ, რომ გაისათ
უსათუოდ ისევ ავალთ მაზე და საზოგადოთ ძთელ
ზაფხულს მთასვლას მოვანდომებთ.

დრო მიდიოდა, ფული ნელ-ნელა გველეოდა.
ტფილისიდგან დაპირებული ტვირთმატარი კი არ
მოდიოდა. ჩვენი მდგომარეობა კრიტიკული ხდე-
ბოდა. საბედნიეროდ მთიელთა რესპუბლიკის სახ.
გან. კომისარის მოადგილემ, მუგუევმა, გადაგვარ-
ჩინა. ის ჩვენ იშვიათი ყურადღებით მოგვეპყრო:
ნულიც მოგვცა, იაფფასიანი ბილეთები გვიშოვნა
რკინის გზაზე, ისე გაგვისტუმრა ტფილისისაკენ,
ბაქოს გზით. მშვენივრად ვიმგზავრეთ. გზაში სულ
ყურძენს შევექცეოდით, ვინაიდან ყველაზე იაფი
იყო. ერთი დღე დარუბანდში გაჩერდა ჩვენი ვა-
გონი და მთელი დღე ზღვაში ვბანაობდით. ერთი
სიტყვით, საესებით დავისვენეთ და ტფილისში
ისე გასუქებულები და გამოკეთებულები ჩამო-
ვედით, რომ ყველას უკვირდა. — „ასე რომელმა
აგარაკმა დაგასუქათო“ — გვეკითხებოდნენ.

ენკენისთვის მე-9[1] დღე იყო, ხოლო ჩვენი გაფრენის მე-19, როდესაც საღამოს ტფილისს მიუახლოვდით. ჩვენ აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. თავს ისე ვგრძნობდით, როგორც გამარჯვებულ ომიდან დაბრუნებულნი, თუმცა მგზავრობის დაბოლოვება ძალიან გვწყინდა. ტფილისში დიდი ყურადღებით დაგვხვდა საზოგადოება. სჩანს, რომ ყველას წაუკითხია, ყველამ იცის და დაინტერესებულია ჩვენი ასვლით. ეტყობათ, რომ ბევრს ჩვენი მიბაძვა სურს. ჩვენც ეს გვინდოდა. ჩვენი სურვილი ის იყო, რომ ჩვენ ექსპედიციას ჩვენში მთასვლის შემოღების და მგზავროსნობის ანუ ტურიზმის ფართო გავრცელების საძირკველი ჩაეყარა. მართალია, მთასვლა ერთგვარ ნებისყოფას, გამბედაობას და ამასთანავე ხარჯებსაც მოითხოვს, მაგრამ სამაგიეროთ ადამიანის ცოდნას, გამძლეობას და ჯანმრთელობას ძლიერ წინ სწევს და, რაც მთავარია, აღმაფრენის და სიმშვენიერის მრავალ ახალს და მაღალ გრძნობებს უნერგავს. მე მსურს, რომ ამ ჩვენი ასვლის ამბავმა რამდენიმეს მაინც აგრძნობინოს სურვილის ის დაუშრეტელი ცეცხლი, რომელიც მრავალ დაბრკოლებათა გადალახვის შემდეგ. მას მყინვარის, ან სხვა რომელიმე მაღალ მთის მწვერვალზედ აიყვანდეს. ასეთებს მივმართავ და ვუსურვებ მათ, ჩვენი გამბედაობა გამოიჩინონ, მაგრამ ამასთან ერთად — ჩვენი სიფრთხილე და წინდახედულობაც.

---

[1] ანუ 9 სექტემბერი.

შინაარსი

გიორგი ნიკოლაძის მთამსვლელური დღიური — წინასიტყვაობა ... აბზიანიძისა 3
პირველი ქართული ასვლა მყინვარ-წვერზე . . 12

Николадзе Георгий Николаевич

ПЕРВОЕ ВОСХОЖДЕНИЕ ГРУЗИНСКИХ АЛЬПИНИСТОВ НА КАЗБЕК

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1983

რედაქტორი ნ. ახალიანი
მხატვარი ო. თევაძე
მხატვრული რედაქტორი ლ. ღვინჯილია
ტექნიკური რედაქტორი ლ. ჭელიძე
კორექტორი ნ. რაქიშვილი
გამომშვები დ. იამანიძე

ს. ბ. № 2609.

გადაეცა წარმოებას 6.07.83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.10. 83 წ. საბეჭდი ქაღალდი № 1. 70×90 1/32. გარნიტური ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 3,36. + ჩაქვრა 0,15. პირ. საღ. გატ. 4,32. სააღრ-საგამომც. თაბახი 2,45. უე 05776. ტირაჟი 3.000. შეკვ. № 1372.
ფასი 20 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის № 12 სტამბა, ქუჩ. ჩხეიძის ჭ. № 8.
Тбилисская типография № 12 Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли.
Ул. Уш. Чхеидзе № 8.